# ალია

~~1 ლარი~~

70 თეთრი

N33/2963/ 5 მარტი 2014 წ PRESS ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE გამოდის 1995 წლიდან


ექსკლუზივი

**მთავარი ფულია და არა სამართალი!!!**



**რა გააკეთეს ეკა ზღუდაძის ქმარმა და ისრაელის ელჩმა კეზერაშვილის გასანთავისუფლებლად**

**თუ ოდიშარია არ მოხსნის ბერიკაშვილს, ღარიბაშვილს მოუწევს ორივეს მიხედვა და პროკურატურისაც...**



**რა შეუთვალეს „ალიას“ მეშვეობით პრემიერს**

**რას ყვება ბერას მეგობარი ახალაიას ადვოკატ ონიანზე**



**გეგუთში პატიმარი „ოზშიაკის“ გამო ადმინისტრაციის თვალწინ მოკლეს?!**



# რა საკითხები განიხილეს უსაფრთხოების საბჭოს საგანგებო სხდომაზე?



## რას გვიქადის ფულეს დაპირების შესრულება

**და რა დღეში ჩაგვაგდებს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება**



ექსკლუზივი

## რატომ უჩივლეს ზაქარეიშვილს პროკურატურაში და რას მალავს ის თავის ბიოგრაფიაში?



**რა განუცხადა მინისტრმა „ალიას“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არ ჩაასხათ „ლუკოილის“ საწვავი, არ შეიძინოთ რუსული პროდუქცია“ — ბოიკოტი რუსულ პროდუქციას უკრაინის გამო

არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული მომავლისთვის“ წარმომადგენლები საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებენ, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, ბოიკოტი გამოუცხადონ რუსულ პროდუქციას – არ ჩაასხან „ლუკოილის“ საწვავი და არ შეიძინონ რუსული წარმოების საქონელი.

ამ მოწოდების გათვალისწინებით, პრობლემები შეექმნება ოპერატორ კომპანია „ბილაინსაც“. ასევე, მედიკამენტების, ხორცპროდუქტების, რძის პროდუქტების, ტკბილეულისა და სხვადასხვა სახის საკვებისა და ბურღულეულის მწარმოებელ რუსულ კომპანიებსაც, რომელთა ნაწარმზეც საქართველოში დიდი მოთხოვნილებაა.

რამდენად გაითვალისწინებენ მოწოდებას და როგორ განვითარდება მოვლენები, ამის შეხასებ „ალიას“ მომდევნო ნომერში გაცნობებთ.

## პატრიარქს დარწმუნება არ სჭირდება



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ შტეფან ფულე მიიღო და სტუმარს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესზე ესაუბრა. პატრიარქის განცხადებით:

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო გახდეს სრულუფლებიანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციის. ზოგიერთ ქვეყანაში არასწორი ინფორმაციაა გავრცელებული თითქოს საქართველოს ეკლესია აბრკოლებს ამ პროცესს. მე მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს. თქვენ გითქვამთ, დავარწმუნებ პატრიარქს, რომ საქართველოს შეუძლია თავისი ტრადიციებით, ფასეულობებით გახდეს წევრიო. მე მინდა გითხრათ, რომ მე დიდი ხანია დარწმუნებული ვარ ამაში“. – განაცხადა პატრიარქმა. (ფრონტნიუსი)

## მომღერალი „კაბუ“ დაჭრეს

4 მარტს საღამოს თბილისში, „ლურჯი მონასტრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტის შედეგად მომღერალი „კაბუ“ – კახა აბუაშვილი ფეხის არეში დაჭრეს. არსებული ინფორმაციით, შელაპარაკება ორ მამაკაცს შორის მოხდა.

როგორც სანაპიროს №6-ში მცხოვრები მოსახლეობა აცხადებს, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც მოხდა ინციდენტი, „კაბუ“ თავდამსხმელებისგან თავის არიდებას შეეცადა, მაგრამ ორი უცნობი მაღალი ახალგაზრდა მამაკაცი მას წამოეწია, სასტიკად სცემეს და შემდეგ ორი გასროლით ქვედა კიდურებში დაჭრეს. მოსახლეობის ინფორმაციით, თავდამსხმელები ადგილიდან მიიმალნენ, ხოლო „კაბუმ“ დამოუკიდებლად შეძლო ტერიტორიის დატოვება. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 118-ე მუხლით არის აღძრული, რაც განზრახ სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. (ფრონტნიუსი)

## „საზმაუს“ ბიუჯეტები გამჭვირვალე არ იყო



საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2005 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტები არ იყო გამჭვირვალე.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში ადასტურებს, რომ 2008 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მილიონ ლარამდე ღირებულების სარეკლამო დრო იყიდა, თანხა პარტიამ სრულად მხოლოდ 2011 წელს დაფარა. ბუნდოვანია ხარჯები, ისეთი როგორიცაა: ავტომობილებით მომსახურების შესახებ გაფორმებული კონტრაქტი (მომსახურების ღირებულება შეადგენდა 2 მლნ. ლარს). ტელეკომპანია „პიკისთვის“ განკუთვნილი ბიუჯეტი, საიდანაც კომპანიის დირექტორს, ბ-ნ რობერტ პარსონსს ხელფასის სახით, წინმსწრებად ერიცხებოდა 15 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარში. გარდა ამისა, ყოველთვიურად, წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის სოლიდური თანხები ირიცხებოდა მენეჯმენტის სახელზე არსებულ ბიზნესბარათებზე; ათასობით ლარია გახარჯული არამიზნობრივ ტრენინგებზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში ადასტურებს, რომ 2010 წელს „ევროვიზიის“ სიმღერის კონკურსისთვის გაიხარჯა 2 მილიონ ლარამდე, მაშინ როცა 2013 წელს „ევროვიზიის“ ხარჯმა 250 ათასი ლარი შეადგინა. გასული წლების განმავლობაში 2005 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტები არ იყო გამჭვირვალე. ბიუჯეტები არ არის გაწერილი თვეების მიხედვით. წლების განმავლობაში დაგროვებული სხვადასხვა ტიპის დავალიანების, არამიზნობრივი ხარჯებისა და ბუნდოვანი ბიუჯეტების მიუხედავად, სამეურვეო საბჭოს, რომელიც თავად განსაზღვრავს მაუწყებლის ბიუჯეტის პრიორიტეტებს, პრეტენზია გენერალურ დირექტორებთან არ ჰქონია“, – ნათქვამია მაუწყებლის ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

# რა საკითხები განიხილეს უსაფრთხოების საბჭოს საგანგებო სხდომაზე?

**საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, „თუ რუსეთი უკრაინაში თავისას გაიტანს, მთელი მსოფლიოს წესრიგი ჩამოიშლება, ჯაჭვური რეაქციით აფეთქდება ჩრდილოეთ კავკასია, მით უფრო, რომ სირიის კონფლიქტის შემდგომ, გარკვეული ძალები დაბრუნდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და შესაძლოა, საერთო ჩრდილოკავკასიური ომი გამოუცხადონ რუსეთს. პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის მომავალი გვაინტერესებს და ამ შემთხვევაში ამოცანაც გვაქვს. ჩვენ პირველივე წუთებიდან ვაანალიზებდით სიტუაციას, ვსაზღვრავდით სცენარებს, ვცდილობთ, მივიღოთ ადეკვატური ზომა და სწორედ ამას ემსახურებოდა უსაფრთხოების საბჭოს სხდომა პრემიერთან. ჩვენი ხელისუფლება გააკეთებს მაქსიმუმს და მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ აქვე გააქტიურდეს საქართველოს დეოკუპაციის საკითხი“.**

**„ალია“ კომენტარისთვის ირაკლი სესიაშვილს დაუკავშირდა:**

**— თქვენ ამბობთ, რომ ჯაჭვური რეაქციით აფეთქდება ჩრდილოეთ კავკასია, ამას კონკრეტულ ინფორმაციებზე დაყრდნობით აცხადებთ?**

– პირველ რიგში, ამის თქმის საფუძველს მაძლევს პორტალებსა და საიტებზე ამ ყველაფერთან დაკავშირებით ღიად გავრცელებული ინფორმაციები. ჩრდილოკავკასიელთა გარკვეული ჯგუფები აცხადებენ, რომ, თუ ყირიმში ომი დაიწყება, ისინი გვერდში დაუდგებიან უკრაინელ ხალხს და შესაბამისად, გამოიყენებენ ამ სიტუაციას. ეს ლოგიკურიც არის, რადგან სირიის კონფლიქტის დასრულების შემდეგ გარკვეული ბოევიკები დაბრუნდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ამ სირიის კონფლიქტში კი რუსეთმა მხარი დაუჭირა ბაშარ ასადს. თუ რუსეთს მოუწია გარკვეული ძალების გადასროლა უკრაინაში, ცხადია, ფრონტის ხაზი მოშიშვლებული ექნებათ ჩრდილოეთ კავკასიაში და მათაც მეტი მოტივაცია გაუჩნდებათ. ეს არ არის მხოლოდ ჩემი ნააზრევი, ესაა სხვადასხვა გამოცემებში გამოთქმული მოსაზრებები, ანალიტიკური ნაშრომები, რომელთაც, ჩემი აზრით, აქვთ საფუძველი და ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ.

**— პორტალებზე სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება, თქვენ კი პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე ხართ, ყოფილი ექსპერტი და რამდენად რეალურად ხედავთ ამის საფრთხეს?**

– მე ვფიქრობ, რომ ეს ინფორმაცია ახლოს არის რეალობასთან და მოვლენების ასეთი განვითარების შესაძლებლობა არსებობს. ამიტომაც მეც ამავე აზრის ვარ.

**— ჩვენზე როგორ აისახება ეს და რა სცენარებს განიხილავთ?**

– ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა შესაძლო სცენარს ვაანალიზებთ და მთლიანად ორიენტირებული ვიქნებით ჩვენს ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, რუსეთთან ურთიერთობით გარკვეული უნარ-ჩვევები გამოგვიმუშავდა და შესაბამისად, გაცილებით უკეთ ვართ მომზადებული, ვიდრე ადრე ვიყავით. უსაფრთხოების სისტემა გამართულად მუშაობს. თქვენ იცით, რომ პრემიერს ჰქონდა უსაფრთხოების საბჭოს სხდომა და თავისთავად ცხადია, მრავალი საკითხი იყო განხილული, მათ შორის ის, რა სავარაუდო რისკები შეიძლება წარმოიქმნას ამ მდგომარეობის შედეგად.

**— ამბობთ, რომ უშიშროების საბჭოზე აანალიზებდით სიტუაციას. რამე დასკვნამდე მიხვედით?**

– პირველ რიგში, ყველას სურვილია უკრაინაში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. არავის ინტერესში არ შედის ომი. რაც შეეხება ყველაზე რთულ სცენარებს, ამაზე ღიად ნამდვილად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ამისთვის ქვეყანა მზადაა თავისი რესურსით შესაძლებლობების ფარგლებში. თუმცა, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ასეთი კონფლიქტი გაჩაღდა, უკრაინა არ იქნება მარტო, სხვა შემთხვევაშიც დასავლეთი აუცილებლად ჩაერთვება ამაში. ჩვენ ვაანალიზებთ როგორც რეალისტურ რისკებს, ასევე ყველაზე რთულ სცენარებს და ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად მზად ვიყოთ. როგორც მოგახსენეთ დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ მინდა დავამშვიდო ჩვენი მოსახლეობა, რომ არანაირი სერიოზული საფრთხე ჩვენ არ დაგვემუქრება. ჩვენ სწორი გზით მივდივართ დასავლეთისკენ და მთავარია, მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები და ვაშენოთ დემოკრატიული ქვეყანა.



**— თქვენ მოუწოდეთ ხელისუფლებას, რომ გააქტიურდეს საქართველოს დეოკუპაციის საკითხი. ეს რას ნიშნავს? აქამდე არ იყო დეოკუპაციის თემა აქტუალური? სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები ჩადიან, ყველგან ამაზე აკეთებენ განცხადებებს და მეტი რა უნდა ქნან, თქვენ რას გულისხმობთ გააქტიურებაში?**

– აქ საუბარი სხვა რამეზეა. იმ ფონზე, როდესაც ძალიან აქტუალურია უკრაინის თემა და უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია, ასევე მიმაჩნია, რომ ამ ოკუპაციასთან ერთად, პირდაპირ მიბმული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის თემა. ეს ნიშნავს, რომ როგორც უკრაინის თემაა აქტუალური და მთელი დასავლეთი ყოველთვის ჩართულია, მათ შორის, სასურველია მაღალ დონეზე ნახსენები იყოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რომელიც ასევე რუსეთს აქვს მიტაცებული.

მე იმას ვამბობ, რომ უახლოესი მომავალი უკრაინის ოკუპაციის თემა იქნება პირველი, შესაბამისად, სასურველია, რომ ასევე მუდმივად ჟღერდებოდეს საქართველოს ოკუპაციის თემა. აქ არის საუბარი იმაზე, რომ ეს თემა იყოს გაძლიერებული და გააქტიურებული ყველა დონეზე.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროკავშირი გვერდით დგომას გვპირდება



გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულეს განცხადებით, ევროკავშირი მტკიცედ იდგება საქართველოს გვერდით რუსეთის მიერ ზეწოლის განხორციელების შემთხვევაში.

„ჩვენს წინ არსებული ამოცანები ნამდვილად არ არის ადვილი, კარგად გვესმის იმ ზეწოლისა, რომელიც უკრაინაზე ხორციელდება იმის გამო, რომ მან სურვილი გამოთქვა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა. ჩვენ ასევე გვესმის, რომ აღნიშნული ზეწოლა სხვაგანაც არსებობს – ევროკავშირი მტკიცედ იდგება საქართველოს გვერდით ასეთი ზეწოლის განხორციელების შემთხვევაში“, – განაცხადა ევროკომისარმა.

შტეფან ფულეს თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრებმა გუშინ მკაფიოდ გააჟღერეს, რომ, თუკი რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებებს გააგრძელებს, ევროკავშირის მხრიდან მიღებულ იქნება „წერტილოვანი ზომები“.

„პოლიტიკაში, როგორც წესი, არ ვმუშაობთ სიტყვა „თუ“-სთან – „თუ ასე მოხდებოდა“. ჩვენ ვმუშაობთ გამოწვევებთან, რომელიც რეალურად არსებობს და იქმნება. საგარეო საქმეთა უმაღლესმა საბჭომ საგანგებო მიმართვა გაავრცელა რუსეთისადმი და მას თავისი ვალდებულებები, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები შეახსენა, რომელსაც, სხვათა შორის, რუსეთი თვითონ ძალიან ხშირად უსვამს ხოლმე ხაზს. ლაპარაკია უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობაზე, რომელიც უნდა იყოს დაცული გაერო-ს ქარტიიდან, სხვა რიგი შეთანხმებებიდან და მემორანდუმებიდან გამომდინარე. გუშინ გაჟღერებული დეკლარაცია ეს გახლავთ მცდელობა არა მხოლოდ ნათლად განისაზღვროს და სახელი დაერქვას იმას, რა ხდება, არამედ საბოლოო ძალისხმევა განვახორციელოთ, რომ მოხდეს სიტუაციის დეესკალაცია. საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნათლად განაცხადეს, რომ თუ რუსეთი აირჩევს აგრესიის გაგრძელების გზას, ნამდვილად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იქნება მიღებული წერტილოვანი ზომები, ევროკავშირის მხრიდან გადაიდგმება წერტილოვანი – მიზანმიმართული ნაბიჯები“, – აღნიშნა შტეფან ფულემ. (ინტერპრესნიუსი)

## ფანჯიკიძეს ევროკავშირის იმედი აქვს



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, იმ გამოცდილებიდან, რომელიც ქვეყანას აქვს და რომელსაც უკრაინაში ვუყურებთ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე რუსეთისგან საქართველოზე მოსალოდნელია გაძლიერებული ზეწოლა. როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, ჯერ კიდევ არის 11-კილომეტრიანი ე.წ. უსაფრთხოების ზოლი, რომელიც რუსეთმა გადმოსწია. როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, ითქვა, რომ ეს ე.წ. უსაფრთხოების ზოლი სოჭში პარაოლიმპიური თამაშების შემდეგ უნდა გაუქმდეს.

მისივე ინფორმაციით, 14 მარტს დაგეგმილია ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრა და მან იმედი გამოთქვა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ უფრო მეტად გაირკვევა სიტუაცია.

„გვეცოდინება, რას უნდა ველოდოთ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე რუსეთისგან. ჩვენ გვაქვს ევროკავშირის მხარდაჭერის, ჩვენი მეგობრების დახმარების იმედი, რომ აგვაცილებენ იმ საფრთხეებს, რომლის წინაშეც დადგა უკრაინა და რომლის წინაშეც შეიძლება სხვა დადგეს. ჩვენ ერთობლივად განვიხილავთ ამ საფრთხეებს და იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ მათ თავიდან აცილებას“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

# რას ყვება ბერას მეგობარი ახალაიას ადვოკატ ონიანზე

როცა სამართალი „შევებულებაშია“, ჟურნალისტმა უნდა გაისროლოს და თუ „ათიანში“ გაარტყი, დამნაშავე „ლიკვიდირებულია“. „ნაცსექტის“ ზონდერის გიორგი ონიანის თავისუფლება 20 000 ლარად შეფასდა. ეს იმ კაცის, ვინც მომიტინგეთათვის ცხვირ-პირის გაერთიანებით ერთობოდა და პარაზიტობდა, არჩევნების წინ დასდევდა „ნაციონალების“ მოწინააღმდეგეებს და ნარკოტიკებს უტენიდა ჯიბეში. მაგრამ ამ საოცრებათა ქვეყანაში მან უმანკოების მანტია მოირგო და მგლობიდან ცხვრობა მოინდომა, სინდისგასხვისებულმა დაკავების წინ განაცხადა, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას ვგეგმავდი და ამიტომ დამაპატიმრესო. ონიანმა პოლიტპატიმრის სტატუსის „არტყმა“ მოინდომა. ადამიანები, რომლებსაც პირადად ონიანმა დაუმახინჯა ცხოვრება, გაჩუმებას არ აპირებენ. უკვე მეორე ადამიანი ალაპარაკდა მის წინააღმდეგ. ყველას გვახსოვს „დიჯეი რემბოს“ დაკავების ისტორია. ის ხალხს იმით დაამახსოვრდა, რომ ბიძინა ივანიშვილის შვილის, ბერას მეგობარია. ეს ერთი უწყინარი ბიჭი ონიანმა სწორედ იმიტომ დააკავა, რომ სააკაშვილის რეჟიმს ბერა ივანიშვილი გაემწარებინა. დღეს ლევან მდინარაძე, მეტსახელად „დიჯეი რებო“ გიორგი ონიანს ბრალდებებს უყენებს და აცხადებს, რომ ონიანი გარეთ თავისუფლად არ უნდა დადიოდეს. აი, რას ყვება **ლევან მდინარაძე:**

– „2011 წლის ოქტომბერში, „ქართული ოცნების“ მაისურები უნდა დამერიგებინა, 17 ოქტომბერს ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე ვიმყოფებოდი, სადარბაზოდან გამოვდიოდი, უცებ მომვარდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორი პირი, ხელები გადამიგრიხეს და ავტომანქანაში ძალით ჩამსვეს, არ ვიცოდი რისთვის დამაკავეს, მანქანის წინა სავარძელზე გოგა (გიორგი) ონიანი იჯდა. ჩემი დაკავების ოპერაციაში უშუალოდ მონაწილეობდა ონიანი, რომელიც დღეს სამართალდამცავობას იბრალებს.

— **რა გითხრეს, რისთვის გაკავებთო?**

– მანქანაში ჩასმისას განმიმარტეს, რომ სახელმწიფოს ღალატი მედებოდა ბრალად, რადგან ორგანიზებას ვუწევდი და ვარიგებდი „ქართული ოცნების“ მაისურებს. გლდანი-ნაძალადევის სამმართველოსთან მიმიყვანეს. ონიანმა სამართალდამცველებს მიუთითა, რომ შენობის უკანა მხრიდან შევეყვანე, რადგან ხმაური არ ატეხილიყო და თვალში არავის მოვხვედროდი. დასაკითხ ოთახში ამიყვანეს, სადაც რამდენიმე ადამიანი შემოვიდა. ონიანმა დამიწყო დაკითხვა, ძირითადად ბრალდება მომდიოდა, რომ მე სახელმწიფოს მოღალატე ვიყავი, მითხრა, რომ ვინც მაისურებს ბეჭდავდა და არიგებდა, ყველას დაგვიჭერდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ შათირიშვილი დაიჭირეს. მჯერა, რომ შათირიშვილი მართალი იყო და ის უკანონოდ დააკავეს. შემდეგ მითხრეს, რომ ნარკოტიკების შეძენა-მოხმარებისთვის დამაკავეს, რაზეც ვთქვი, რომ მომხმარებელი არ ვიყავი. ნარკოლოგიური შემოწმების შემდეგ, გაირკვა, რომ მომხმარებელი მართლა არ ვარ, ამაზე ონიანი გაბრაზდა და თქვა, რომ 7 წელს მომისჯიდა. მან ჩემგან ვერც ერთ ბრალდებაზე თანხმობა ვერ მიიღო, რასაც კვლავ მოჰყვა შეურაცხყოფა.

— **ფიზიკური შეურაცხყოფა მოგაყენეს?**

– დიახ, სახეში რამდენჯერმე გამარტყეს. შემდეგ ჩამიყვანეს გამომძიებელთან, სადაც უნდა გავეჩხრიკე, ამოვალაგე ჩემი ხელით, რაც ჯიბეში მედო, ესენია ფული და საღეჭი რეზინი, მობილური ტელეფონი მანამდე წამართვეს. საფულე არ მქონდა, რადგან არ ვატარებ. შემდეგ ჩვენების ოქმზე ხელის მოწერას მთხოვდნენ, სადაც წაკითხვის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ეწერა თითქოს, რაღაც თეთრი ქაღალდი აღმომაჩნდა ჩხრეკისას, რაზეც უარი ვუთხარი. მიმტკიცებდნენ, რომ ეს აღიარებას არ ნიშნავდა, იძულებული გამხადეს ოქმზე ხელი მომეწერა, თუმცა ვთქვი, რომ რაც არ ჩამიდენია, იმას არ ვაღიარებდი. ამის მერე უკვე „კაპეზეზე“ გადამიყვანეს, შემდეგ კი 10 000-ლარიანი გირაოთი გამათავისუფლეს. ამ ხელისუფლების პირობებში ამნისტია შემეხო და გადახდილი თანხა უკან დამიბრუნდა. იმედი მაქვს, რომ ჩემი განცხადებით პროკურატურა დაინტერესდება, რის შემდეგაც მე ონიანის წინააღმდეგ ჩვენებას მივცემ, რადგან ვთვლი, რომ მანტიას და ბერა ივანიშვილის გამოსახულებიან მაისურებს უმზადებდა და კანონიერ შეკვეთას ასრულებდა, თუმცა „ნაცრეჟიმს“ პოლიტიკური დევნა ჰქონდა გამოცხადებული ბიძინა ივანიშვილის მომხრეებზე და „ქართულ ოცნებაზე“, მთაამოფარებული დამნაშავე გარეთ თავისუფლად არ უნდა დადიოდეს“.



შეგახსენებთ, რომ გოგა ონიანის დაკავების სანქცია საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გასცა. 2011 წელს, ონიანი გლდანი-ნაძალადევის პოლიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა და ჩართული იყო „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი მეთაურობდა. მისი სამიზნე შპს „დაო-პრინტის“ მენეჯერი, დავით შათირიშვილი იყო. „დაო-პრინტი“ „ქართული ოცნებას“ პარტიის ლოგოიანვარი იყო ოპონენტი გაენადგურებინათ და არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა ბრალს შეტენიდნენ მათ. ონიანმა შათირიშვილი დიდი ოდენობის ნარკოტიკის – მარიხუანის უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავა. როგორც შათირიშვილი ამბობს, ნარკოტიკი ჩაუდეს. ონიანი შათირიშვილს დაემუქრა, „დანაშაულს“ თუ არ აღიარებ, შენს ცოლს დავიჭეროო. შათირიშვილმა ზეწოლის გამო „დანაშაული აღიარა“. ამ ბინძური დავალების შესრულებისთვის ონიანს პრემია გადაუხადეს. სწორედ, გიორგი შათირიშვილის საჩივრის საფუძველზე დააკავეს გოგა ონიანი. მას ბრალი 4 მუხლით წაუყენეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში ონიანი არ დატოვა და 20 000 ლარი გირაო შეუფარდა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ონიანის წინააღმდეგ მომჩივანთა რიცხვი იზრდება, პროკურატურაში ახალი საჩელი შედის, ლევან მდინარაძე – „დიჯეი რემბო“ გაჩერებას არ აპირებს, ჯერი პროკურატურაზეა, დაუმტკიცებს თუ არა ონიანს დანაშაულს, რომელიც მოსიარულე „პალაჩია“.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს ხელისუფლება მსოფლიოს გაემიჯნაო?



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, მთავრობა არ გამოხატავს ქართველი ხალხისა და ქართული საზოგადოების ნებას, რაც ცივილიზებულ სამყაროსთან ერთობლივ კოორდინირებულ ქმედებებს გულისხმობს.

„როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო ცდილობს რუსული აგრესიისა და ინტერვენციის შეჩერებას უკრაინაში, რუსეთის იზოლაციას პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლება ვერ აცნობიერებს შექმნილი პოლიტიკური ვითარების მნიშვნელობას. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ რუსეთის იზოლაცია არის დაუშვებელი, ზურაბ აბაშიძე გვამცნობს, რომ კარასინთან დაგეგმილი შეხვედრა აუცილებლად შედგება. „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლები კვლავ აგრძელებენ საქართველოს ღიად დადანაშაულებას 2008 წლის ომის დაწყებაში.

მიგვაჩნია, რომ ამ უპასუხისმგებლო განცხადებებით, საქართველოს ხელისუფლება გაემიჯნა მსოფლიოს, შეაჩეროს და იზოლაციაში მოაქციოს აგრესორი. სახეზე არის მძიმე ვითარება, როდესაც მთავრობა არ გამოხატავს ქართველი ხალხისა და ქართული საზოგადოების ნებას, რაც ცივილიზებულ სამყაროსთან ერთობლივ კოორდინირებულ ქმედებებს გულისხმობს“, – განაცხადა წიკლაურმა. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთის დამარცხება ნიშნავს საქართველოს გამარჯვებას



„ქართული ოცნების“ წევრის დავით ზურაბიშვილის განცხადებით, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებში რუსეთის დამარცხება ნიშნავს საქართველოს გამარჯვებას, რუსეთის გამარჯვება კი საქართველოს დამარცხებას.

„ამ მოვლენებმა დააჩქარა ჩვენი დაახლოება ნატო-სთან და ევროპასთან. თუ დასავლეთმა წაუყრუა და გაუვიდა იმპერიალისტური ქმედებები რუსეთს, მაშინ რუსეთი რასაც უნდა გააკეთებს საქართველოშიც და არავის არაფერს არ ჰკითხავს. უკრაინაში განვითარებული მოვლენები გადამწყვეტია ჩვენთვის და იქ ერთგვარად ჩვენი საქმეც კეთდება. იქ რუსეთის მარცხი, ჩვენთვის გამარჯვებაა. მარტო განცხადებები დასავლეთის მხრიდან არ არის საკმარისი, აუცილებელია, რომ საქართველოსა და უკრაინის ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდეს“, – განაცხადა ზურაბიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ჟიული შარტავას იუბილე აღინიშნება



აფხაზეთის მთავრობა ჟიული შარტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეულს მართავს. აფხაზეთის მთავრობის ცნობით, კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია ლიტერატურულ-შემეცნებითი კონკურსები და სამეცნიერო კონფერენციები, ჟიული შარტავას სახელობის ტურნირები, სკულპტურული მემორიალის გახსნა „ერთიანი საქართველო“, ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლისა და წიგნების პრეზენტაციები, აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა. 7 მარტს შოთა რუსთაველის თეატრში კი საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას საიუბილეო საღამო გაიმართება. 2014 წელი ჟიული შარტავას წლად გამოცხადდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...





## მარგველაშვილ-პუტინის შეხვედრა დაგეგმილი არ არის

საგარეო ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის, ვანო მაჭავარიანის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა ამ ეტაპისთვის დაგეგმილი არ არის.

„თუ შეძლებენ ქვეყნის პრეზიდენტები თავისი პოზიტივი შეიტანონ იმ თვალსაზრისით, რომ რთულ თემებზე რაიმე წინსვლა იყოს დევნილების დაბრუნების კუთხით, ტერიტორიების დეოკუპაციისა თუ ხალხთა შორის ურთიერთობის ნდობის აღდგენის თვალსაზრისით, ეს თემები ერთ დღეში არ წყდება. რა თქმა უნდა, ეს თემები განხილული იქნება მას შემდეგ, რაც აბაშიძე-კარასინის შეხვედრა გაიმართება, რადგან, თუ რუსეთს რაიმე უნდა, არაფრით არ მოერიდება და ამ კომუნიკაციასაც ექნება შეხვედრის ადგილი, რა თემებზე უნდათ მათ საუბარი და როდის. რა თქმა უნდა, ჩვენ პარტნიორ ქვეყნებთან ერთად განვიხილავთ ამ შესაძლებლობას“. – აღნიშნა მაჭავარიანმა.

ვანო მაჭავარიანი საქართველოში გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტის გადადებას, უკრაინაში განვითარებული მოვლენებით ხსნის.

როგორც ვანო მაჭავარიანმა განაცხადა, აღნიშნული ვიზიტის ერთ-ერთ თემად საქართველო ევროპასთან დაახლოების დაჩქარებულ ტემპებს განიხილავდა. მისივე თქმით, შეხვედრებზე ასევე განხილული იქნებოდა რუსეთთან ურთიერთობის საკითხი, კონფლიქტური ზონები და მავთულხლართებთან დაკავშირებული პროცესები. მაჭავარიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიზიტი უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო გადაიდო და არ გაუქმებულა. (ინტერპრესნიუსი)

## უკრაინელი სამხედროები პროვოკაციას არ წამოეგნენ



უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მიხეილ უკლებას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება უკრაინის მთავრობასთან მუდმივ კონტაქტშია და ჩვენს მეგობარ ქვეყანას გვერდში ვუდგავართ. მისი თქმით, კიევი ნორმალურ რეჟიმში აგრძელებს ცხოვრებას, ხოლო ყირიმში და რუსეთ-უკრაინის საზღვარზე დაძაბული ვითარებაა.

„ხარკოვის, დონეცკისა და ლუგარსკის ოლქების გასწვრივ, რუსეთის მხრიდან, ჯარებისა და ტანკების კონცენტრაცია შეიმჩნევა. რაც შეეხება ყირიმს, უკრაინის შეიარაღებული ძალები, ბაზები და გემები იქ გარშემორტყმულია, მაგრამ ჯერჯერობით სროლის გარეშე ხდება ეს ყველაფერი, ვინაიდან, უკრაინელი სამხედროები პროვოკაციას არ წამოეგნენ. ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებულია სამხედრო მობილიზაცია და მზადყოფნა“, – განაცხადა უკლებამ.

ელჩი მიიჩნევს, რომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერება და ამ მიმართულებით არსებული რეალობა იმედისმომცემია.

„შეერთებულმა შტატებმა რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობა და საინვესტიციო შეთანხმებებზე მუშაობა შეწყვიტა, ხოლო პოლონეთმა, როგორც წევრმა ქვეყანამ, რომლის უსაფრთხოებას საფრთხე ექმნება, ნატო-ს საბჭოს მოწვევის თხოვნით მიმართა. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია 6 მარტისთვის დაგეგმილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამიტი, რომელიც უმაღლესი პირების დონეზე გაიმართება და უკრაინაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციას განიხილავს. ასე რომ, ეს ყოველივე იმედისმომცემია, გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ძალისხმევა ძალიან გაიზარდა“, – აღნიშნა უკლებამ.

იგი ასევე შეეხო გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის ელჩის ვიტალი ჩურკინის მიერ წარმოდგენილ წერილს, რომლის თანახმადაც, უკრაინაში შეიარაღებული ძალების შეყვანის თხოვნით ვლადიმერ პუტინს უკრაინის ექსპრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა მიმართა. უკლებას თქმით, როგორც უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა და რადას თავმჯდომარემ ტურჩინოვმაც დაადასტურა, იანუკოვიჩის თხოვნის საფუძველზე უკრაინაში რუსეთის ჯარის შეყვანა არალეგიტიმურია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იანუკოვიჩზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული და მეორეც, ის მოქმედი პრეზიდენტიც რომ ყოფილიყო, სხვა ქვეყნის ჯარების შემოყვანის ნებართვის გაცემის უფლებამოსილება, უკრაინის კანონმდებლობით, მხოლოდ უმაღლეს რადას აქვს.

რაც შეეხება უკრაინაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, მიხეილ უკლებას თქმით, საელჩოს არავინ დაკავშირებია რაიმე სერიოზულ პრობლემებთან დაკავშირებით. (ინტერპრესნიუსი)

## თელავის ნაგავსაყრელი მოწესრიგდა



თელავის მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი სრულად მოწესრიგდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ნაგავსაყრელი გარემოს დაცვის ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს. პოლიგონზე განთავსებულია თიხოვანი გრუნტის მარაგი, რომლითაც შეტანილი ნარჩენების გადაფარვა მოხდება. ამასთანავე, პერმანენტულად ხდება გადანაყრებისა და საიზოლაციო ფენის შემკვრივება ვიბროსატკეპნის მეშვეობით.

ნაგავსაყრელი მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას საკუთრებაში 2013 წელს გადაეცა და ამ დროისთვის ის სრულად მოწესრიგდა. პოლიგონის მოწესრიგებისა და ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსების მიზნით, ნაგავსაყრელის ტერიტორია შემოიღობა და განთავსდა სადარაჯო ჯიხური, დამონტაჟდა სახანძრო სტენდი, ნაგავსაყრელის მაჩვენებელი რენდერი და ამკრძალავი ნიშანი. ადგილზე, ასევე, დამონტაჟდა 60-ტონიანი სამანქანე სასწორი; მოხდა ტერიტორიის ელექტრიფიცირება; მოეწყო მანქანა-მექანიზმების ფარდული; გარდა ამისა, მდინარე თურდოზე ნაპირდამცავი სამუშაოები ჩატარდა, რათა მდინარის ადიდების შემთხვევაში, ნარჩენების მდინარეში მოხვედრის საფრთხე გამოირიცხოს. თელავის ნაგავსაყრელი ექსპლუატაციაში უკვე შევიდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# გეგუთში პატიმარი „ობშიაკის“ გამო ადმინისტრაციის თვალწინ მოკლეს?!



ელექტრონული მედიის ინფორმაციით, ე.წ. მაყურებელმა პატიმარი „თავანის“ ჩაუბარებლობის გამო სცემა, რის შემდეგაც ის გარდაიცვალა. „აჭარელი ბიჭი იყო ის საწყალი. თავანის ჩაუბარებლობის გამო წუხელ მაყურებელმა „ბუწალიჩმა“ – ნუგზარ ნიკოლაძემ სცემა სასიკვდილოდ. „მაყურებელი“ ნიკოლაძე, რუსთავის „კრიტიდან“ გეგუთში თებერვალში, პატიმრების მასობრივი შიმშილობის დროს გადაიყვანეს.

გეგუთში „მაყურებლების“ ჩანაცვლება 12 თებერვალს მომხდარა, როდესაც ციხის „მაყურებელი“ ონიანები თავის „შაიკით“ გადაიყვანეს „კრიტში“ და მათ ნაცვლად რუსთავის მეექვსე „კრიტიდან“ ათკაციანი „შაიკით“ ნუგზარ ნიკოლაძე დააბრუნეს. ნიკოლაძეს უთქვამს, „კრიტიდან“ თუ გამიყვანთ, მე გავაჩერებ პატიმრებსო. ონიანებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და გეგუთში გადმოსვლას ვერ ბედავდა. ონიანები და მისი ბიჭები იმავე მანქანით წაიყვანეს „კრიტში“, რითაც „ბუწალიჩი“ და მისი ხალხი მოაბრძანეს. – იუწყება „გურიანიუსი“.

4 მარტს, მთელი დღის მანძილზე დაწესებულებასთან პატიმართა ახლობლები იყვნენ შეკრებილი. „ალიამ“ ინფორმაციის გადამოწმება გეგუთის საპატიმრო დაწესებულების ერთ-ერთი პატიმრის დედასთან სცადა. **ნინო აბაშიძე** ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ამ ეტაპზე ყველა პატიმართან კონტაქტი შეწყვეტილია და მხოლოდ „შემოვლითი გზებით“ არის შესაძლებელი შიდა ინფორმაციის მიღება. მისი თქმით, დღის მეორე ნახევარში გეგუთში სიმშვიდე იყო და გამოძიება დაიწყო. პატიმრებს შორის შეხლა-შემოხლა კი არც პირველად მომხდარა და არც უკანასკნელია.

– სასწრაფოდ ვითხოვთ, გეგუთში შევიდეს ეკა ბესელია, ზონებს პატრონი არ ჰყავს და სრული განუკითხაობაა. როგორც კი პატიმრის სიკვდილის ამბავი გავიგე, პანიკაში ჩავვარდი, უკვე მერამდენედ მეშინია, ჩემი შვილი არ იყოს. როგორც კი გავიგე, რომ გარდაცვლილი ჩემი შვილი არაა, ცოტა კი დავწყნარდი, მაგრამ მერე იმან გამამწარა, იმ პატიმარსაც ხომ ჰყავს ოჯახი, ხომ ისიც ჩემსავით გამწარდება და უარესად, როცა შვილს მიუსვენებენ სახლში? ხშირად ხდება ხოლმე ამგვარი დაპირისპირება, ხან რის გამო, ხან რის გამო. ადრე „ნაციონალები“ მართავდნენ „მაყურებლებს“, ახლა ახალი ხელისუფლების პირობებში ახალი ადმინისტრაცია. ცემა-ტყეპა ხშირად ხდება, მაგრამ არ ხმაურდება, თუ მას ფატალური შედეგი არ მოჰყვება. ახლა გვამსაც ხომ ვერ გადამალავს სუბარი, არადა, რას აკეთებს, ვერ ვხვდები? მართლა ახალაიაზე უარესი მოვიდა ხელისუფლებაში. აქეთ იმიჯს უფრთხილდება, მეორე მხრივ კი, ადამიანი როგორ უნდა სცემო ისე, რომ გარდაიცვალოს? გუშინ ჩემს შვილს ვესაუბრებოდი და უცებ გაწყდა კავშირი, როგორც კი ასეთი რამ ხდება ხოლმე, მაშინვე ეკრძალებათ პატიმრებს ახლობლებთან კონტაქტი.

— **ეს ნიკოლაძე, რომელსაც პატიმარი შემოაკვდა, ვინ არის?**

– როგორც მე ვიცი, „მაყურებელია“. „ნაციონალების“ დროიდან მას საკმაოდ „წარმატებით“ იყენებდნენ პატიმრების გასაჩერებლად ან პირიქით, ასაბუნტებლად. ეს ადამიანი ცემის დიდოსტატია. თანაც წარმოიდგინეთ, დადასტურდა უკვე, რომ ბლაგვი იარაღით მოკლა პატიმარი. რა იარაღი ჰქონდა მას, რაც ადმინისტრაციამ არ იცოდა? მაგრამ ყველაფერი იცოდა, ან თუ არ იცოდა, მით უარესი მისთვის. გამოდის, რომ პატიმრები მართავენ ციხეს და აქეთ აჰყავთ ადმინისტრაცია მძევლად? რა გამოდის, „ობშიაკის“ შეგროვება მოდაშია და თუ არ შეაგროვებ, ისე მოგკლავენ, ციხის ადმინისტრაციაც ვერ დაგიცავს?

როგორც ვიცი, სახალხო დამცველის აპარატიდან წარმომადგენელი იყო შესული გეგუთში, მაგრამ შევა და გამოვა, მერე რა? რაც წინა აქციების დროს გააკეთა, იგივეს იზამს ახლაც, იყეფებს და გაჩუმდება. მერე მიწყნარდება ცოტა ხნით სიტუაცია და კიდე მოხდება ასეთი რამ. პრევენციის მიზნით არავინ არაფერს აკეთებს, სუბარს ურჩევნია, პატიმრებს მოაგვარებინოს სიტუაცია ამ გზით, ვიდრე სკამი შესწიროს. მე როგორც ვიცი, აზარტული თამაშებით გეგუთში პატიმრები დაკავებულები არიან, ისიც ვიცი, რომ ე.წ. თავანის აკრება აქ ჩვეულებრივი ამბავია და ამაში ხელს არავინ უშლის მათ. როგორც მითხრეს, ეს საწყალი ბიჭი ცემაში ისე მოკლეს, ადმინისტრაცია უყურებდა და გაშველებაშიც კი არ მიუღია მონაწილეობა. მშვენივრად იცოდნენ, რის გამო სცემდნენ საწყალს და ისიც, რომ ცემაში შემოაკვდებოდა „მაყურებელს“. რომ მოკლეს, მერე მივიდნენ.

— **რატომ აკვლევინებდნენ ცემაში ამ ადამიანს?**

– როგორც მითხრეს, ფულს რომ აილებდნენ, ადმინისტრაციისთვის უნდა გაეყოთ ეს ფული. ის საწყალი ბიჭი კი ამაზე უარს ამბობდა. საქართველოს დაღუპავს ქურდულ-კრიმინალური მენტალიტეტის, ფეოდალის მენტალიტეტის და მონის მენტალიტეტის ამხელა მასშტაბები.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გეგუთის №14 დაწესებულებაში პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნული: „2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით ღამის 2:30 საათზე, გეგუთის №14 დაწესებულებაში, ექვსადგილიან საკანში, სადაც ხუთი მსჯავრდადებული იმყოფებოდა, პატიმრებს შორის დაპირისპირება მოხდა, რაც ერთ-ერთი მსჯავრდადებულის გარდაცვალებით დასრულდა. პირველადი ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმარს მრავლობითი დაზიანებები აქვს მიყენებული, მათ შორის თავისა და ყელის არეში“.

„ალია“ სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა იმაში გასარკვევად, რა გაირკვა პირველადი მოკვლევით, მართლაც უყურებდნენ თუ არა გულგრილად ადმინისტრაციის წარმომადგენლები პატიმრის ცემის ფაქტს. „რაც განცხადებაში არ წერია, იმის იქით ვერაფერს გეტყვი. გამოძიება მიმდინარეობს და ყველაფერს გამოძიება გასცემს პასუხს“. – განგვიცხადა თაია მახარაშვილმა.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ჰაიდელბერგცემენტი შპს
HEIDELBERGCEMENT „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“

აცხადებს ფასთა გამოკითხვას კანალიზაციის ხაზის მოწყობაზე კასპის ცემენტის ქარხანაში.

დაინტერესებულ კომპანიებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
ლერმონტოვის ქ. №18, 0105 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 247 47 47
+995 577 501 582
ელ. ფოსტა: diana.bichelashvili@heidelbergcement.ge
დიანა ბიჩელაშვილი
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2014 წლის 17 მარტი.

**4 მარტს კანცელარიასთან ხელოვანების აქცია მოეწყო, რომლის მონაწილეებიც კულტურის მინისტრის მოადგილის მანანა ბერიკაშვილის გადადგომას მოითხოვდნენ, რადგანაც მასში ხედავენ მთავარ მიზეზს იმ ანარქიისა, რის გამოც უამრავი საკითხი კულტურის სფეროში დღესაც გადაუწყვეტელია და ამ საკითხების გადაწყვეტა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მინისტრ ოდიშარიას მოეთხოვება. თუმცა, როგორც აქციის მონაწილენი აცხადებენ, ბერიკაშვილი ოდიშარიას აღარაფერს ეკითხება.**

**„ალიას“ ესაუბრება აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე:**

– მთელი ეს ამბავი დაიწყო ათი თვის წინ და ამ ხნის მანძილზე მე და ჩემს ოჯახს არ გვძინებია, რადგანაც ვეძებთ სიმართლეს, ამ დროს ცამდე მართლები ვართ. ამის გამო კულტურის სამინისტროს წინ ვიშიმშილე კიდეც, არც კი გასულა, ის ადგილზევე იბლოკება. ამ დროს კინოცენტრის დარღვევები უკვე დოკუმენტურად მაქვს აღნუსხული და იქ კრიმინალი იკვეთება.

**— მაგ დარღვევებზე ადრე ისაუბრეთ „ალიასთან“. რამე ახალია კიდევ და ვინ ბლოკავს თქვენს წერილს სამინისტროში?**

– დარღვევები? გაშლილი ჰქონდათ ხელები და „მიდი-მოვდივარ“-ს იძახდნენ. გამოიკვეთა, მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტი, როცა კომისიის წევრები თვითონ აფინანსებდნენ საკუთარი პროდიუსერობით საკუთარ სცენარებს და ისე ფინანსდებოდნენ, როგორც უნდოდათ. ამის გარდა, კონკურსში იმარჯვებდა ერთი სტუდია და ფულს აძლევდნენ სულ სხვა სტუდიას, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა ამ კონკურსთან შეხება. ჩამოწერილი მქონდა ეს ყველაფერი, თან ზედ წავლებლების აქციას, რომლებიც განთავისუფლებულები არიან. დღეს მოხდა ჩვენი პრობლემების შერწყმა და გავერთიანდით ამ აქციაზე.

**— კანცელარიიდან ვინმემ მოგაქციათ ყურადღება?**

– ვისი-ვისი და უშიშროების ყურადღება ნამდვილად დავიმსახურეთ, გამოვიდნენ და ძალიან თავაზიანად გვკითხეს, რა პრობლემები გვქონდა და იმედი გვაქვს, პრემიერის ყურამდეც მივა ეს საქმეები. საერთოდ, ამ აქციის შეწყვეტას მანამდე არ ვაპირებთ, სანამ ჩვენსას არ მივაღწევთ. დღეს პირველი დღე იყო და 50 კაცი შევიკრიბეთ, არ არის ცოტა ეს რიცხვი, თუმცა ნორმალურ ქვეყანაში ერთმა რეჟისორმაც რომ იშიმშილოს, მარტო გამოვიდეს და გააპროტესტოს პლაკატით ხელში, იმას უნდა მიაქციონ ყურადღება. ჩვენ ხვალაც მოვალთ და ზეგაც, ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. სახელმწიფო აუდიტის დასკვნა არ მიდის პროკურატურამდე, რომელიც მანანა ბერიკაშვილმა უნდა გადასცეს. ჩვენი პრობლემა კი მთელი საქართველოსთვის არის ცნობილი: 2014 წლის 5 თებერვალს ხადურმა ხელი მოაწერა უფლებადამცველების მიმართვას, სადაც კრიმინალური ბრალდებებია ჩამოთვლილი თეატრალურის რექტორ გოგი მარგველაშვილის წინააღმდეგ, მაგრამ ლი ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოშიც, ანუ, ყველგან ერთი და იგივე სახელებია. ამ ყველას პატრონი კულტურის სამინისტროა და დედა კი მანანა ბერიკაშვილი, რომელიც, ვადასტურებთ, რომ არის ნამდვილად დღევანდელი მინისტრი. როცა ოდიშარიამ ბრძანა, იმიტომ ვუშვებ მიზანდარს, რომ თავზე მახტებაო, რა, იგივეს არ აკეთებს ბერიკაშვილი? ამიტომ კითხვას ვუსვამთ მინისტრს: რატომ გავრცელდა მსგავსი კანონი მიზანდარზე და რატომ არ ვრცელდება ბერიკაშვილზე? რა, არ იღებს ის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს? არ ახტება ოდიშარიას



# თუ ოდიშარია არ მოხსნის ბერიკაშვილს, ღარიბაშვილს მოუწევს ორივეს მიხედვა და პროკურატურისაც...

## რა შეუთვალეს „ალიას“ მეშვეობით პრემიერს

რასაც მოჰყვა ის, რომ კულტურის სამინისტრომ აღიარა, კინოცენტრში 2013 წლის კონკურსები ჩატარდა მიკერძოებულადო. ამის შემდეგ უკვე სახელმწიფო აუდიტმა, კონტროლის პალატამ აბსოლუტურად დაადასტურა ის, რა პრეტენზიებიც მქონდა კინოცენტრის მიმართ. საქმე ისაა, რომ ჩვენ კინოცენტრში უკვე ისეთი სხვადასხვა გარემოებები აღმოვაჩინეთ, რაც პირდაპირ პროკურატურას ეხება. 9 იანვარს გავაკეთე განცხადება და მასალები შევიტანე კულტურის სამინისტროში, რომელიც უშუალო ზედამხედველია კინოცენტრის, მაგრამ ორი თვე გავიდა და არანაირი პასუხი არ მომსვლია, საქმე ადგილიდან არ იძვრის. დარწმუნებული ვარ, კულტურის სამინისტროდან ეს წერილი დოკუმენტებიც იდო და მეგონა, ვინმე დაინტერესდებოდა. რაც შეეხება დაბლოკვას, ეროვნული კინოცენტრის დირექტორს ნანა ჯანელიძეს თავის დროზე ძალიან ლობირებდა მანანა ბერიკაშვილი. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი იბლოკება კულტურის სამინისტროდან და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ამას ხელს აფარებს მანანა ბერიკაშვილი. საერთოდ, ერთი რამ ხდება: ყველამ კარგად უნდა გავიგოთ და დავიმახსოვროთ, რომ დღეს კულტურის მინისტრი არის მანანა ბერიკაშვილი. რაც შეეხება ოდიშარიას, ის დადის წიგნების პრეზენტაციაზე და ასეა ფუნქციები გაყოფილი. სხვათა შორის, ჩვენი აქცია დაემთხვა თეატრისა და კინოს პროფესორ-მასამ საქმეს არ შევეშვებით, სანამ არ მივაღწევთ მისაღწევს, სასამართლოშიც მაქვს დავა კინოცენტრთან და რა მიკვირს, იცით? სანამ პროკურატურას მივმართავდი, კულტურის სამინისტროში შევიტანე, ადმინისტრაციულად ეს სამინისტროს უნდა განეხილა და ზაფხულშივე დაუყოვნებლივ უნდა მოეხსნა ნანა ჯანელიძე, რომელმაც დიდი უსიამოვნებები წამოიკიდა და ადამიანურად მაგრად მეცოდება.

**მარინა მიქაუტაძე, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი, აქციის ორგანიზატორი:**

– ვაპროტესტებთ იმ დარღვევებს, რაც ქართულ კულტურაში დაგროვდა და იმდენი დარღვევაა, იმდენი, რომ ეს საქმეც იბლოკება ბერიკაშვილის მიერ, რომელიც ასევე რექტორ მარგველაშვილის ლობისტია და საქმეც ადგილიდან არ იძვრის. აი, ამ სიჩუმეში მესამე ვადით მარგველაშვილი ისევ აირჩიეს რექტორად. ამ დროს აკადემიურ საბჭოს არ ჰქონდა უფლება, აერჩია მესამე ვადით ეს ადამიანი ამ პოსტზე. აკადემიური საბჭოს წევრებს უფლებამოსილება გასული ჰქონდათ, ისე მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა.

**— კონკრეტულად, ვისზე ამბობთ?**

– რეჟისორი ბუბა ხოტივარი იყო თავმჯდომარე და მას არა თუ თავმჯდომარეობის, არამედ საბჭოს წევრობის უფლებაც არ ჰქონდა, რადგანაც მე-9 წელია, რაც საბჭოს წევრია. იგივე ხოტივარის სახელი იკვეთება „ქართუთავზე? ყველა პრობლემა, რაც არის დღეს ქართულ კულტურაში, ამ ქალის კაბინეტში როგორ იყრის თავს? მანანა ბერიკაშვილი სასწრაფოდ უნდა იქნას იზოლირებული, რადგანაც ის არის ქართული კულტურის სირცხვილი.

**რედაქციისგან: მოკლედ, საკითხი მწვავედ დგას, პრეტენზიები არსებობს როგორც ბერიკაშვილის, ისე მინისტრისა და პროკურატურის მიმართ. რაზეც პრემიერ ღარიბაშვილს რეაგირება აუცილებლად მოუწევს, თუმცა 4 მარტს ის აქციის მონაწილეებს არ შეხვედრია. მოვლენების განვითარების შესახებ ინფორმაციებს აუცილებლად მოგაწვდით.**

თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ჩადენის ფაქტზე ლია მარგიშვილი დააკავეს. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია „სამარიტანს პურსე“ საქართველოში მცხოვრები ობოლი და მიუსაფარი ბავშვებისთვის უსასყიდლოდ დასარიგებლად, ყოველწლიურად აგზავნის ჰუმანიტარულ საჩუქრებს, რომლის მიღებაც და უსასყიდლოდ განაწილება ხელშეკრულების საფუძველზე ევალება საქართველოში რეგისტრირებულ ააიპ „კეთილი სამარიტელი საქართველოში“ თავმჯდომარეს, მერაბ ორაგველიძეს. სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დადგინდა, რომ ორაგველიძემ ობოლი და მიუსაფარი ბავშვებისთვის დასარიგებელი ტვირთი გადასცა მოქალაქე ლია მარგიშვილს, რომელიც შემოსავლის მიღების მიზნით, ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე, ახდენდა აღნიშნული ტვირთის რეალიზაციას სხვადასხვა ფიზიკურ პირებზე. აღნიშნული ქმედებით ლია მარგიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც 1-დან 3-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

## აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა რუსეთის ქმედებებს მხარი დაუჭირა



აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა, პოლიტიკურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა რუსეთის ქმედებებს ყირიმში მხარი დაუჭირეს. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულმა საკოორდინაციო საბჭომ უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადეს რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს როგორც ყირიმში, ისე მთელი უკრაინის ტერიტორიაზე.

„ჩვენ არ შეგვიძლია, არ გავიზიაროთ რუსეთის ფედერაციის შეშფოთება, ვინაიდან არანაირი მიზანი არ შეიძლება ამართლებდეს ულტრანაციონალისტურ რიტორიკას, ეროვნული უმცირესობების უფლებების შელახვასა და მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაციის მოწოდებას“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ასოცირებაზე მოლაპარაკებები მარტის ბოლოს დასრულდება



საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ასოცირების დღის წესრიგზე მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, მარტის ბოლოსთვის დასრულდება.

„გვახსოვს ბატონი შტეფან ფულეს სიტყვები მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, როდესაც მან ხაზი გაუსვა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორებისთვის ევროპული პერსპექტივის გახსნის მნიშვნელობას. იმედი გვაქვს, რომ ეს მიდგომა სრულფასოვნად აისახება ჩვენს ურთიერთობებში. ჩვენთვის ევროპული პერსპექტივის გახსნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონებში არსებული გამოწვევებისა და უკრაინაში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. იმედს გამოვთქვამ, რომ ევროკავშირი მკაფიოდ დააფიქსირებს თავის განცხადებებში საქართველოს ევროპული პერსპექტივის მხარდაჭერას... როგორც საქართველომ, ასევე ევროკავშირმა გამოხატეს მზაობა, რაც შეიძლება მალე მოეწეროს ხელი ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას. ორივე მხარე ინტენსიურად ვმუშაობთ საჭირო პროცედურების დასრულების მიზნით. განვიხილეთ ასოცირების დღის წესრიგზე მიმდინარე მოლაპარაკებები და გადავწყვიტეთ, რომ დროულად უნდა შეთანხმდეს დოკუმენტის ტექსტი, სავარაუდოდ, მარტის ბოლოსთვის. როგორც იცით, ეს დოკუმენტი წარმოადგენს ძირითად სამოქმედო გეგმას შეთანხმების განხორციელებისა და მისი სრულად ძალაში შესვლის თვალსაზრისით“, – დასძინა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

ბათუმში მემედ აბაშიძის ქუჩაზე, ადამიანის დაჭრისთვის ეჭვმიტანილი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, დანაშაულში ეჭვმიტანილი შემთხვევიდან რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა აიყვანეს. საქმე აღძრულია განზრახ მკვლელობის ბრალდებით.

3 მარტს, ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე, აჭარის ტელევიზიის მოპირდაპირედ, მამაკაცი დანით დაჭრეს. რესპუბლიკური საავადმყოფოს ინფორმაციით, მამაკაცს მრავლობითი ჭრილობები მუცლისა და ზურგის არეში აღენიშნებოდა, რის გამოც მას ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. პაციენტი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. (ინტერპრესნიუსი)

## „შტეფან ფულე ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილით ჩამოვიდა“



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, შტეფან ფულე ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილით. მისი განმარტებით, ევროკომისრის საქართველოში ვიზიტი იმის ფონზე, რაც უკრაინაში ხდება ძალიან მნიშვნელოვანია.

„ევროკომისრის ვიზიტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი დღეს, როცა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მთლიანადაა მიპყრობილი უკრაინისკენ. ბატონი ფულე ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილით – ეს არის ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ევროინტეგრაციის დაჩქარების კუთხით. ძალიან მნიშვნელოვანია ეს ვიზიტი სწორედ იმ დროს, როცა ჩვენს მეგობარ უკრაინაში სიტუაცია მეტად დაძაბულია და ზოგადად, მთელი რეგიონი დგას საფრთხის წინაშე“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, საერთაშორისო თანამეგობრობის სრული მობილიზაციაა აუცილებელი უკრაინასა და რეგიონში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. (ინტერპრესნიუსი)

# ემუქრება თუ არა პატიმრობა ბაჩო ახალაიას ადვოკატს?

ბაჩო ახალაიას ადვოკატ გოგა ონიანს უახლოეს მომავალში შესაძლოა ახალაიას მეორე დამცველი, რომეო საჯაიაც მიაყოლონ. საქმე ეხება როლანდ ახალაიასა და რომეო საჯაიას მიერ ბიზნესმენ დავით როგავასთვის ზუგდიდში არსებულ უნივერმაღ „ენგურის“ წართმევას, რომელ საქმეზეც სასამართლო საბოლოო განაჩენს 7 მარტს გაახმოვანებს.

„ნაციონალების“ დროს დევნილი ბიზნესმენები საკუთარი ქონების დაბრუნებას და იმის აღიარებას ითხოვენ, რომ უსამართლოდ იდევნებოდნენ, თუმცა სამართალს ვერც ახალი ხელისუფლების პირობებში პოულობენ.

როგორც ჩანს, ეკონომიკის სამინისტრო, კერძოდ კი „ქონების მართვის სააგენტო“ არ აპირებს, უკანონოდ ჩამორთმეული, სახელმწიფოს ბალანსზე აყვანილი ქონება დააბრუნოს. ამის შესახებ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა მირანდა კირთაძემ სამართლო სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, ბიზნესმენებს კანონიერად ჩამოართვეს ქონება და არ აპირებენ მის უკან დაბრუნებას, მეტიც კირთაძე იმაშიც დარწმუნებულია, რომ ბიზნესმენები დამნაშავეები არიან.

ამ დრომდე გაურკვეველი რჩება რატომ გააკეთა ასეთი განცხადება „ქონების მართვის სააგენტოს“ თანამშრომელმა სამართლო პროცესზე, რომლის ნათქვამსაც პროკურატურის წარმომადგენელი და მოსამართლე შოკში ჩაუგდია.

საქმეზე სასამართლო განხილვები სამ თვეზე მეტია მიმდინარეობს. ამ საქმეზე როლანდ ახალაია პროკურატურაშიც იყო დაბარებული თუმცა არ ინება გამოცხადება.

სასამართლო განხილვების დროს 30-ზე მეტმა მოწმემ მისცა ჩვენება, სადაც ისინი იხსენებდნენ უმძიმეს ფაქტებს, მაგალითად, როგორ მიჰყავდა რომეო საჯაიას თვითმკვლელობამდე პირები, რომლებსაც დაჭერით ემუქრებოდა თუ მისთვის სასურველ ჩვენებას არ მისცემდნენ.

როლანდ ახალაიას მიერ დევნილი პირები ითხოვენ წართმეული ქონების დაბრუნებას და ამბობენ, რომ სახელმწიფოსგან არანაირი ზიანის ანაზღაურება არ სურთ.



მათი განცხადებით, როდესაც გამოცხადდება გამამართლებელი განაჩენი, ისედაც შეუძლიათ სარეაბილიტაციო წარმოება დაიწყონ და სახელმწიფოს ის ზიანი მოსთხოვონ, რაც შვიდი წლის განმავლობაში მიადგათ, თუმცა უნივერმაღის მფლობელს სურს წართმეულის დაბრუნება, რათა ისევ აამუშაოს ამჟამად უმოქმედო ობიექტი.

„ქონების მართვის სააგენტოში“ უარყოფენ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს მათმა წარმომადგენელმა ვინმეს ბრალი დასდო და განაცხადა, რომ ეკონომიკის სამინისტრო არ გეგმავს, იმ პირებს, ვინც სააკაშვილის ხელისუფლების დროს დაზარალდა, ქონება დაუბრუნოს. იმას, რომ ქონების მართვის სააგენტოს თანამშრომელმა სასამართლო პროცესზე ამ შინაარსის სიტყვა წარმოთქვა, „ალიას“ ადვოკატი მირიან ნიკოლაძე უდასტურებს, რომელიც ამ თემაზე პრესკონფერენციას 5 მარტს გამართავს.

საქმეზე საბოლოო განაჩენი 7 მარტს გამოცხადდება, პროკურატურაში შეტანილია სარჩელი როლანდ ახალაიასა და რომეო საჯაიას წინააღმდეგ. თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ 7 წლის განმავლობაში ბიზნესმენებს უკანონოდ დევნიდნენ, მაშინ ავტომატურად დადგება როლანდ ახალაიასა და რომეო საჯაიას პასუხისმგებლობის საკითხიც.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანიას ოპოზიციის კანდიდატის არ ეშინია



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრისა და თბილისის მერობის კანდიდატის, დავით ნარმანიას განცხადებით, გაერთიანების შემთხვევაში არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ დაყენებულ რომელიმე კანდიდატს თვითმმართველობის არჩევნებში სერიოზული ოპონენტად არ მიიჩნევს.

„მე ვერ გამოვდგები შემფასებლად იმასთან დაკავშირებით, რას იზამენ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული მათგანი ცალკე ძალიან სუსტია. გაერთიანება გარკვეული თვალსაზრისით, ალბათ, მიზანშეწონილია და რეკომენდებულია, თუმცა არ მგონია, რომ გაერთიანების შემთხვევაშიც, მათ მიერ წაყენებული რომელიმე კანდიდატი სერიოზული ოპონენტი იყოს ჩვენი ჯგუფის კანდიდატის“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

შეგახსენებთ, პარტიები „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული დასი“ ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნისთვის მზადყოფნას გამოთქვამენ.

როგორც ამ პარტიების გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ქვეყანაში შექმნილია ვითარება, როდესაც ახალი მმართველი გუნდი, წინა ხელისუფლების მსგავსად, უარს აცხადებს დემოკრატიულ საარჩევნო ცვლილებებზე და კანონის საკუთარ ინტერესებზე მორგებით, ცდილობს, დაამყაროს სრული პოლიტიკური მონოპოლია. მათი ინფორმაციით, „ქართული ოცნება“ კანდიდატებად საზოგადოებას სთავაზობს არა იმ პირებს, ვისაც ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა აქვს, არამედ მათ, ვინც კოალიციის ლიდერის ნდობით სარგებლობს, რათა არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ამ ხალხმა უხმოდ შეასრულოს ცენტრალური ხელისუფლების დაკვეთები. (ინტერპრესნიუსი)

## მუხათგვერდის სასაფლაოზე დათვი იპოვეს



დათვი მუნიციპალურ თავშეფასარში გადაიყვანეს. საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის ცნობით, ინფორმაცია მუხათგვერდის სასაფლაოზე დათვის ყოფნის შესახებ თვითმხილველებმა მიაწოდეს. ისინი ვერ ხსნიან, საიდან შეიძლებოდა დათვი მუხათგვერდში მოხვედრილიყო.

სასაფლაოზე ნაპოვნი დათვი სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა ვარკეთილის მეურნეობასთან მდებარე მუნიციპალურ თავშესაფარში გადაიყვანეს. დათვს ვეტერინარი შესაბამის გამოკვლევას ჩაუტარებს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთი დოლარზე უარის თქმით იმუქრება



იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ს სენატი რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს დააწესებს, ფედერაცია იძულებული გახდება, შექმნას თავისი ფულადი ანგარიშსწორების სისტემა და უარი თქვას დოლარზე. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მრჩეველმა, სერგეი გლაზევმა განაცხადა.

„ძალიან კარგი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გვაქვს ჩვენს პარტნიორებთან აღმოსავლეთსა და სამხრეთში და მოვძებნით გზას, რომ არა მხოლოდ გავანულოთ ჩვენი ფინანსური დამოკიდებულება აშშ-ზე, არამედ ამ სანქციებს თავს დავაღწევთ ჩვენთვის ძალიან სარგებლიანად. მცდელობა, რუსეთის ფედერაციისთვის სანქციების დაწესებისა, დასრულდება კრახით აშშ-ის ფინანსური სისტემისთვის, რაც გამოიწვევს აშშ-ის მსოფლიო ფინანსურ სისტემაზე დომინირების დასასრულს“, – განაცხადა გლაზევმა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ სანქციები გამოყენებული იქნება რუსულ სამთავრობო სტრუქტურებთან მიმართებაში, რუსეთის ფედერაცია იძულებული გახდება, ფაქტობრივად, შეუძლებლად ცნოს იმ კრედიტების დაბრუნება, რომლებიც რუსულ სტრუქტურებზე იქნა გაცემული აშშ-ის ბანკების მიერ.

„სანქციები ხომ ორმხრივად მოქმედი იარაღია და თუკი აშშ გაყინავს ჩვენს აქტივებს, ანალოგიურად, გაიყინება ჩვენი ორგანიზაციის პასივებიც დოლარში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ბანკები და ბიზნესდაწესებულებები არ დაუბრუნებენ სესხებს ამერიკულ ბანკებს“, – განმარტა გლაზევმა.

მისი თქმით, თუკი ამერიკა გაყინავს რუსული ბიზნესებისა და მოქალაქეების ანგარიშებს, რუსეთის ხელისუფლების რეკომენდაცია მათდამი იქნება, რომ გაყიდონ აშშ-ის მთავრობის ობლიგაციები.

„ამერიკელები რუსეთს სანქციებით ემუქრებიან და ევროკავშირს ითრევენ რუსეთის წინააღმდეგ სავაჭრო-ეკონომიკურ ომში. ამ სანქციებს შეიძლება მოჰყვეს შემდეგი სცენარი: ყველაზე მეტად რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებით დაზარალდება თავად აშშ, რადგან, თუ ვისაუბრებთ ამერიკასთან სავაჭრო ურთიერთობებზე, ჩვენ მათზე არანაირად არ ვართ დამოკიდებულები. ჩვენ გვაქვს სოლიდური სავალუტო რეზერვი – 200 მილიარდ დოლარზე მეტი და თუ აშშ გაბედავს და გამოიყენებს ჩვენს წინააღმდეგ სანქციებს რუსული ბიზნესებისა და რუსი მოქალაქეების ანგარიშების გაყინვის გზით, ჩვენ ველარ განვიხილავთ ამერიკას, როგორც საიმედო პარტნიორს. ამიტომ, რეკომენდაციას გავცემთ, რომ ყველამ უარი თქვას რეზერვებზე ამერიკულ დოლარში, უარი თქვას თავად დოლარზე, როგორც ვალუტაზე, რომელშიც ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულები და გამოვიდნენ ამერიკული ბაზრიდან“. – განაცხადა გლაზევმა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# რას გვიქადის ფულეს დაპირების შესრულება და რა დღეში ჩაგვაგდებს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება

ევროკომისარი შტეფან ფულე საქართველოშია. „მე დღეს თქვენს წინაშე ვიმყოფები იმისთვის, რომ ხაზი გავუსვა უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელსაც ევროკავშირის წევრის ქვეყნები საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას ანიჭებენ. ეს ხელშეკრულება საქართველოს არაერთ სარგებელს მოუტანს. მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების ხელშეკრულება არ გვაძლევს ერთ დღეში საოცრებებს, ის გზას უკვალავს ქვეყნის მოდერნიზაციას, საზოგადოებისა და საქართველოს ეკონომიკის განახლებას“. გაინტერესებთ, რა მოაქვს მას კონკრეტული თვალსაზრისით?..

პირველი, სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეებისთვის ის გააძლიერებს კანონის უზენაესობას და მოახდენს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციას. უზრუნველყოფს უფრო მაღალ გარანტიებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისთვის. მეორე – ეკონომიკისთვის, ბიზნესისთვის, ისევე როგორც დასაქმებულთათვის, ეს გახლავთ ინვესტიცია საქართველოს მომავალში, ის მოიზიდავს დამატებით ინვესტიციებს, შექმნის სამუშაო ადგილებს. სავარაუდოდ, გაიზრდება ვაჭრობის მოცულობა და ხელფასის დონე იქნება მაღალი; მესამე – მომხმარებლებისთვის ის გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, გააფართოებს და უფრო მრავალმხრივს გახდის საქონელს, ფასები იქნება კონკურენტუნარიანი, აამაღლებს ჯანდაცვისა და გარემოს დაცვაში არსებულ სტანდარტებს. ეს ყველაფერი რომ რეალიზდეს, საქართველომ უნდა გააძლიეროს რეფორმებზე მუშაობა“.

ფულეს ჩამონათვალი მომხიბლავია, თუმცა რამდენად შესაძლებელია საქართველოს რეალობაში შემოსავალმა გაუსწროს გასავალს, მოხდეს ადამიანთა დასაქმება ისე, რომ ხალხს არ ეცალოს მიტინგებზე სასიარულოდ და დადიოდნენ სამსახურში, ქართველი ხალხის უფლებები გაუტოლდეს ევროპელი კატებისა და ძაღლების უფლებებს მაინც, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მაღალ სტანდარტზე, რაც ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში მართლაც რომ მიმზიდველია ევროპა, რამდენად „მუშაობს“ რეალობაში ის ნორმები, რაც ფულემ ჩამოთვალა, იმ ქვეყნებში, რომლებიც უახლოეს წარსულში შევიდნენ ევროკავშირში?

**ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ალია“ ესაუბრა პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს:**

**— ბატონო სოსო, შტეფან ფულემ საქართველოს ლამაზი მომავალი დაუხატა, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ რუმინეთი და ბულგარეთი ევროკავშირის სრულფასოვანი წევრები გახდნენ, მათი ცხოვრების დონე კი არ გაუმჯობესდა, პირიქით, ადგილობრივი მოსახლეობა ევროკავშირის სხვა ქვეყნებში მიდიან სამუშაოს საძიებლად. ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ რა ელის საქართველოს?..**

– ჟურნალისტებს გაცილებით კარგი ალღო გაქვთ, ვიდრე ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს. კაციშვილი არ დაინტერესებულა ერთი კვირის წინ, რატომ თქვა უარი საბოლოოდ ევროკავშირში შესვლაზე ისლანდიამ. ისლანდიამ რომ დაიანგარიშა ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მისი ქვეყნის ეკონომიკას რა დაემართება, ნახა, რომ მათ ეკონომიკას ემუქრება კატასტროფული ვარდნა, ევროკავშირში გაწევრიანებას თან ახლავს ერთი არასასიამოვნო სიურპრიზი. ხალხი ევროკავშირში შედის იმედით, მაგრამ აწყდება კოშმარს. პირველ პერიოდში, ასოცირებაზე ხელმოწერა, ეს არის ვალდებულებების პერიოდი, ქვეყანა იღებს ათასამდე ვალდებულებას, შეიძლება მეტსაც. ათასგვერდიან დოკუმენტში მხოლოდ ერთ გვერდზე მინიმუმ სამი ვალდებულებაა გაწერილი, ქვეყანა შედის ამ ვალდებულებების შესრულების რეჟიმში ხელმოწერის დღიდან. ეს იქნება ჩვენთვის კლასიკური გაგებით, შოკური თერაპია, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ პერიოდში კატასტროფულად დაეცემა ეკონომიკა, მრეწველობა, ვაჭრობა, უარესდება ცხოვრების დონე, სოციალური პირობები ეცემა, მაგრამ გარკვეული წლების შემდეგ, შეიძლება ეს იყო 15-20 წელი, ქვეყანა

*გაგრძელება მერვე გვ.*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პატიმარი განაჩენს უსამართლოდ აფასებს



გლდანის მე-8 დაწესებულებაში მყოფი პატიმარი შოთა ჯოხაძე სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილ განაჩენს უსამართლოდ აფასებს და საქმის გადახედვას მოითხოვს. ჯოხაძემ პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა. ის საქმის პროკურორის მანანა მოსულიშვილის განთავისუფლებასა და პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს. „ისევ მიშასდროინდელი პროკურორები არიან და იგივეს აკეთებენ, არაფერია შეცვლილი“, – აღნიშნა ჯოხაძემ.

პატიმრის ადვოკატის ნათია სირაძის განმარტებით, შოთა ჯოხაძე გასული წლის 27 მაისს დააკავეს. ისაკ ჩეჩელაშვილის ოფისში, შოთა ჯოხაძის მეგობარ დიმიტრი კირვალიძესა და ჩეჩელაშვილს შორის დაპირისპირება მოხდა, ჯოხაძე კი მათ აშველებდა. ადვოკატის განმარტებით, ჩეჩელაშვილმა დაცვის პოლიციას გამოუძახა, რის შემდეგადაც, ჯოხაძე ძარცვის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

სირაძის ინფორმაციით, შოთა ჯოხაძეს 25 თებერვალს მოსამართლე ლელა ნოზაძემ ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ადვოკატის თქმით, კირვალიძემ განაჩენის შემდეგ მუცელში დანა ჩაირტყა, შოთა ჯოხაძემ კი პროცესზე ყელი გამოიჭრა. მისივე თქმით, დაზარალებულ ჩეჩელაშვილს სასამართლო პროცესზე არ უთქვამს, რომ ჯოხაძე მას ფულს ართმევდა. შოთა ჯოხაძის დედის, ლალი ნამგლაძის თქმით, მის შვილს დანაშაული არ ჩაუდენია. როგორც მან აღნიშნა, შოთა ჯოხაძემ გამომძიებელ გიორგი მელქაძეს შეაგინა, საპასუხოდ კი მელქაძე დაემუქრა.

„ჩემმა შვილმა პოლიციაში თქვა, ახლა არ გეგონოთ სააკაშვილის დრო, ახლა ივანიშვილის დროაო. ზუსტად ამ სიტყვის გამო დააპატიმრეს ჩემი შვილი“, – აღნიშნა ლალი ნამგლაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტი მუყაოს ყუთების შეძენას გეგმავს



საქართველოს პარლამენტი 10 540 ლარის ღირებულების მუყაოს ყუთების შეძენას გეგმავს. სატენდერო განცხადება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა. სატენდერო მოთხოვნების მიხედვით პარლამენტი სამი სხვადასხვა ზომის 6 000 ყუთის ყიდვას აპირებს. ყუთების მიწოდება ქუთაისში, პარლამენტში უნდა განხორციელდეს. აღნიშნული ყუთებით პარლამენტიდან თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში საბუთების, საკანცელარიო ნივთებისა და ტექნიკის გადატანა იგეგმება.

სატენდერო წინადადებების მიღება 25 თებერვალს დაიწყო და 27 თებერვალს დასრულდა. ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა მიიღო. თუმცა, მასთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა ამ დრომდე დაწყებული არ არის. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველომ უკრაინაში რუსეთის ქმედებები დაგმო



ეუთო-ს საბჭოს საგანგებო სხდომაზე საქართველომ უკრაინაში რუსეთის ქმედებები დაგმო. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ვენაში, ეუთო-ს მუდმივი საბჭოს საგანგებო სხდომაზე, რომელიც უკრაინაში შექმნილ კრიზისს შეეხო, ეუთო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, ელჩი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი სიტყვით გამოვიდა.

„მან სოლიდარობა გამოხატა უკრაინის მთავრობისა და ხალხის მიმართ, დაგმო რუსეთის ფედერაციის უკანონო ქმედება და მოუწოდა მას, შეასრულოს 1994 წლის 5 დეკემბრის ბუდაპეშტის მემორანდუმით და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით აღებული ვალდებულებები. საქართველოს ელჩმა ყურადღება გაამახვილა შექმნილი ვითარების განსამუხტად, საერთაშორისო თანამეგობრობის და მათ შორის ეუთო-ს ჩართულობის აუცილებლობაზე, რათა არ განმეორდეს ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაცია, რაც საქართველოს შემთხვევაში 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა. ქართველმა დიპლომატმა შეახსენა ეუთო-ს მონაწილე ქვეყნების დელეგაციებს, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% ამჟამადაც რუსეთის ფედერაციის ოკუპაციის ქვეშ იმყოფება და რომ უკრაინაში შექმნილი კრიზისი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულების აღების მნიშვნელობას“, – აცხადებენ სამინისტროში.

მათივე განმარტებით, საქართველოს ელჩმა, თავის გამოსვლაში, მხარი დაუჭირა უკრაინაში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წარგზავნას და გამოხატა ქართული მხარის მზადყოფნა აღნიშნულ მისიაში ჩართვასთან დაკავშირებით.

„კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო მხარს დაუჭერს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისკენ იქნება მიმართული. გამოსვლის ბოლოს საქართველოს ელჩმა მოუწოდა რუსეთის ფედერაციას, თავი შეიკავოს დესტრუქციული ქმედებებისგან და პატივი სცეს მისი მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“, – განმარტავენ უწყებაში. (ინტერპრესნიუსი)

## „გაზპრომი“ უკრაინას გაზზე ფასდაკლებას უუქმებს




„გაზპრომის“ გადაწყვეტილებით, კომპანია აპრილიდან უკრაინას გაზზე ფასდაკლებას გაუუქმებს. ამის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრისას განაცხადა.

„ამ პირობებში, დღესაც უკრაინა არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს, არ ასრულებს იმ შეთანხმებას, რომელიც მიღწეული იყო ფასდაკლების უზრუნველყოფის კონტრაქტის დამატებისას. „გაზპრომმა“ მიიღო გადაწყვეტილება, მომავალი თვიდან არ გაუგრძელოს უკრაინას მოქმედი ფასდაკლებები“, – განაცხადა მილერმა.

„გაზპრომმა“ უკრაინის დავალიანება რუსულ გაზზე 1,52 მილიარდ დოლარად შეაფასა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## ჩრდილოკავკასიელებს განათლების მიღება თბილისში სურთ



პარლამენტის კავკასიის საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელის გუბაზ სანიკიძის განცხადებით, ძალიან ბევრ ჩრდილოკავკასიელ ახალგაზრდას სურს, სწავლა-განათლება თბილისში მიიღოს. დეპუტატის ცნობით, ასეთი სურვილები მოდის ჩეჩნების, დაღესტნელებისა და ჩერქეზების მხრიდან. სანიკიძე აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულებად უნდა აიღოს, რომ განათლებისა და კულტურის საკითხებში ჩრდილოკავკასიელებს მეგზურობა გაუწიოს.

„მათი სურვილია, თბილისი გახდეს მათთვის ფანჯარა დასავლეთში, განსაკუთრებით – ევროპაში. ძალიან ბევრია ამის მსურველი, იმის თქმაც მინდა, რომ ეს ახალგაზარდები ძალიან გავლენიანი ოჯახებიდან არიან, რასაც ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი მნიშვნელობა აქვს. იცით, რომ იქ სხვაგვარი სოციალური ურთიერთობებია, გაცილებით უფრო ძველი და ტრადიციული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ჩრდილოეთ კავკსიაში გვყავდეს მეგობრები. მწარე გამოცდილება გვეუბნება, რომ თუნდაც აფხაზეთის ომის დროს, ჩვენ აბსოლუტურად განულებული გვქონდა ჩრდილოეთ კავკასიელებთან ურთიერთობები და ამან მძიმე შედეგები მოგვიტანა. დღეს ძალიან ბევრ ჩეჩენს, დაღესტნელს, ჩერქეზს სურს, სწავლა-განათლების მიღება თბილისში დაიწყოს. მათ დიდი იმედები აქვთ საქართველოსი, ამიტომ ჩვენი პოლიტიკა კავკასიაში უნდა იყოს ის, რომ თბილისმა საგანმანათლებლო კულტურული ცენტრის ფუნქცია აიღოს“, – განაცხადა სანიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## საბაჟოზე არადეკლარირებული თანხა აღმოაჩინეს



არადეკლარირებული თანხის შემოტანისთვის თურქეთის მოქალაქეს ჯარიმა დაეკისრა. შემოსავლების სამსახურის ცნობით, არადეკლარირებული თანხა, კერძოდ, 17000 აშშ დოლარი და 29800 თურქული ლირა აღმოჩნდა საბაჟო პროცედურების ფარგლებში დათვალიერებისას თურქეთის მოქალაქე მ.ა.-ის კუთვნილ ავტომანქანაში. ის 4 მარტს შემოვიდა საბაჟო გამშვები პუნქტის, „სარფის“, ტერიტორიაზე.

პირს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რას გვიქადის ფულეს დაპირების შესრულება და რა დღეში ჩაგვაგდებს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება

*მეშვიდე გვერდიდან*

იწყებს აღმასვლას. შეხედეთ, რა ხდება საბერძნეთში, რომელიც გაცილებით უკეთ ცხოვრობდა, ვიდრე ევროკავშირის წევრი გახდებოდა. დღეს იქ კრიზისია, ევროკავშირი გამუდმებით სთხოვს შეამციროს სამუშაო ადგილები, პენსიები, სოციალური დახმარება... რაც უფრო მივუახლოვდებით ასოცირების ხელშეკრულებას, პირველი, რაც მცირდება, ეს არის სოციალური ვალდებულებები სახელმწიფოს მხრიდან. დღეს თუ მათხოვრულ 30 ლარს უხდიან სოციალურად შეჭირვებულებს, რაც ბიუჯეტს ათეულობით მილიონი უჯდება, ეს დახმარებაც აღარ იქნება. მას შემდეგ, როცა ჩვენ ავალთ გერმანიისა და საფრანგეთის დონეზე, ისეთივე სოციალური დახმარებები გაიცემა, როგორიც იმ ქვეყნებშია, მაგრამ ჩვენი თაობა ამას ვერ მოესწრება, ორი-სამი თაობა უნდა გამოიცვალოს ქვეყანამ, რომ მაღალ სტანდარტებს მივუახლოვდეთ.

**— ევროკავშირის ვალდებულებების შესრულება ქვეყნისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდება, როგორც ჩანს. ამ ზეწოლას გაუძლებს ხალხი?..**

– ძალიან მტკივნეულია და შეუძლებელიცაა მოსახლეობა დაარწმუნო, უნდა იშიმშილოს იმიტომ, რომ თქვენმა მომავალმა თაობებმა იცხოვრონ კარგად. თუ ქამრის მოჭერა მარტო რიგით ადამიანებს დაგვევალა, ეს დამთავრდება ძალიან ცუდად. ამის პარალელურად თუ ჩვენ დავინახავთ, რომ მინისტრები აგრძელებენ ტოტალურ ფუფუნებაში ცხოვრებას, თუ რესტორნებიდან არ გამოვლენ და ამ ძვირადღირებული ჯიპებიდან არ ჩამოვლენ, ხალხი ამის ყურებას დიდხანს ვერ გაუძლებს.

**— წინ მტკივნეული რეფორმები გველოდება, ქართული მენტალობის ხელახალი გადახარისხება... ჩვენ უნდა დავიოკოთ ის ემოცია, როცა სექსუალურ უმცირესობებს გაგვითანაბრებენ და სხვა რელიგიურ კონფესიებს მართლმადიდებლურ რელიგიასთან გაათანაბრებენ. ხშირ შემთხვევაში უარის თქმა მოგვიწევს იმ ქართულ ტრადიციებზე, რაც ევროპელისთვის სასაცილოა...**



– ეგ არის, თქვენ ცხრიანში მოარტყით. გაუძლებს ქართველი ხალხი? თუ სადაც წვრილია, იქ გაწყდება?.. აი, უკვე მერამდენე ომბუდსმენი გვყავს, ადამიანის მთავარი უფლება, ეს არის სიცოცხლისა და სამუშაოს უფლება... არც ერთ ჩვენს ომბუდსმენს ეს არ აწუხებდა და არ აწუხებს. თითოეული მათგანი იქცა პოლიტიკოსად, ზოგს პატიმრის უფლებები აინტერესებდა, ზოგს ლაფანყურის თემა. სინამდვილეში, ჯერ თავისუფალი მოქალაქის უფლება უნდა იყოს მაღალ დონეზე დაცული, იქიდან უნდა იწყებოდეს პატიმრის უფლებების დაცვა. მე და ჩემი მეზობლები რომ ვშიმშილობთ, ეს არავის აინტერესებს, მაგრამ თუ ყაჩაღი და ნარკომანი ციხეში შიმშილობს, ამის გამო ყურებზე დგას მთელი ევროპა და იცით, რატომ? ევროპელს ვერ წარმოუდგენია, რომ საქართველოს რიგითი მოქალაქე ისეთ საშინელ მდგომარეობაშია, როგორშიც ჩვენ ვართ. ევროკავშირში მიმავალი გზა იქნება უმძიმესი გამოცდა ქართველი ხალხისთვის.

**— შტეფან ფულე ხაზს უსვამს, რომ საქართველოში შემოვა ინვესტიცია, შეიქმნება სამუშაო ადგილები და ადამიანებს ხელფასები გაეზრდებათ. როცა გაქვს პრეტენზია ევროკავშირზე, მინიმუმ 400 ევრო უნდა იყოს ხელფასის ეკვივალენტი ლარებში. შევძლებთ კი უახლოეს მომავალში ამ სტანდარტს მივუახლოვდეთ?..**

– წელიწადზე მეტი გავიდა, ივანიშვილის დავოსში ვიზიტის შემდეგ, იქ შეხვდა მსოფლიოში წამყვან ბიზნესმენებს, დაჰპირდნენ ინვესტიციებს, შეიქმნა საქართველოში თანადაფინანსების ფონდიც. მე არ ვარ ხალხსა და რეალობას მოწყვეტილი, ვერ ვამჩნევ, რომ ჩემს გარშემო ვინმეს ცხოვრება ოდნავ გაუმჯობესებული იყოს, თუ ის არ გახდა სახელმწიფო ჩინოვნიკი. თუ საქართველოს ეკონომიკა 6%-ით გაიზარდა, ჩემნაირები რატომ ვერ გრძნობენ? თუ ციფრებით მელაპარაკებიან, რაში მჭირდება? მთავარია, ჩვენს თავზე ვიგრძნოთ ადამიანებმა ეკონომიკის ზრდა.

**— საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებამდე მოსალოდნელია რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლა. რას უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან?**

– იცით, რისი ეჭვი მაქვს? 3 მარტს პუტინს სატელეფონო საუბარი ჰქონდა ანგელა მერკელთან, ამ საუბრის შემდეგ პუტინმა გადაწყვიტა, ყირიმიდან ჯარები გამოიყვანოს. ეს ნიშნავს, რომ პუტინი უკან იხევს, თუმცა არავინ იცის ჯერ, რა მოხდება, მაგრამ მე მაქვს ეჭვი, რომ პუტინმა გერმანიისგან რაღაც გარანტიები მიიღო. ეჭვი მაქვს, ერთ-ერთი გარანტია, ყირიმიდან ჯარების გაყვანის სანაცვლოდ იყო ის, რომ მერკელი დაჰპირდა, საქართველო ვერ გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. თუმცა მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ანტირუსული განცხადებები მაფიქრებინებს, რომ ამერიკაში ღარიბაშვილს ჰქონდა უფრო წარმატებული ვიზიტი, ვიდრე ჩვენ ეს ვიცით. მე ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილმა ამერიკისგან გარანტიები მიიღო, არაოფიციალური, რაზეც ხმამაღლა არავინ ილაპარაკებს.

**— ბოლოს და ბოლოს, ამერიკამ კეთილი უნდა ინებოს და საქართველოს მოექცეს, როგორც თანასწორ პარტნიორს. ჯერ კიდევ არავინ იცის, როგორ დასრულდება უკრაინის საკითხი, თუ რუსეთმა ყირიმი წაიღო, ამერიკას შავ ზღვაზე გასასვლელად, მხოლოდ საქართველო რჩება. თურქეთს ამერიკის დაკრულზე არც არასოდეს უცეკვია და არც ახლა აპირებს. ასე რომ, ამერიკამ კეთილი ინებოს და ნატოში შეგვიყვანოს, თუ არადა, მორჩეს ქართველი ხალხის გვამებზე სიარულს...**

– გეთანხმებით და ასე გააგრძელეთ ჟურნალისტებმა... საქართველო არის ერთადერთი უნიკალური ქვეყანა, სადაც ქვეყნის შიგნით რუსეთს არ გააჩნია მე-5 კოლონა. თქვენ ნახეთ, რა ხდება უკრაინაში, ნახევარი უკრაინა რუსეთია. ნებისმიერი გამოკითხვით, 95 პროცენტი გეტყვის, რომ ჩვენ ვართ ევროპა და ვილტვით ევროპისკენ. სამწუხაროდ, დღეს დასავლეთსა და ევროპაში ძლიერი პოლიტიკოსები აღარ არიან, პოლიტიკური არენიდან გიგანტები წავიდნენ და დარჩნენ „კარლიკები“... გერმანიაში რომ იყოს კოლი, საფრანგეთში – დე გოლი, ამერიკაში – რეიგანი, დღეს იქნებოდა აბსოლუტურად სხვა მოცემულობა და საქართველო ნატოში 5 წლის წინათ გაწევრიანდებოდა. ხომ ხედავთ, ობამამ „ნაპოლეონის გმირობა“ გამოავლინა და სიტყვით დაემუქრა რუსეთს, საქმით კი არა... თავის დროზე ობამას ეს განცხადება რომ გაეკეთებინა საქართველოში მავთულხლართების გადმოწევაზე, დღეს ჩვენ ამ პრობლემის წინაშე არ ვიდგებოდით. რას გვაშაყირებენ ამდენი ხანი. ბოლოს და ბოლოს, ამ საქართველოს ან თურქეთი გადაყლაპავს, ან რუსეთი. დადგნენ მერე ამერიკელებმა და გვიყურონ ოკეანის გაღმიდან, რა გახდა ამ მაპ-ის მონიჭება. ასე რომ, ამერიკა ახლა უნდა გამოფხიზლდეს, და საქართველო ნატოში შეიყვანოს, თორემ დარჩება გაღიმებული...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს ჟოზე მანუელ ბაროზო ეწვევა



გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის, შტეფან ფულეს განცხადებით, საქართველოს ივნისში ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო ეწვევა.

ფულემ, ბაროზოს სახელით, ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს მთავრობის წევრები ბრიუსელში ორმხრივ შეხვედრაზე მიიწვია, რომელსაც ევროკომისიის პრეზიდენტი და ევროკომისრები ყოველწლიურად, როგორც წესი, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მართავენ. ევროკომისრის თქმით, ამგვარი შეხვედრების ძირითადი მიზანი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება და პარტნიორობის გაძლიერებაა.

„ევროკავშირი მყარად დაუდგება საქართველოს გვერდით, თუ ის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდება. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიპყრობილია ყირიმში მიმდინარე მოვლენებისადმი. აღსანიშნავია, რომ რუსეთი კვლავ განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისთვის გამოწვევის შექმნას. ევროკავშირი განაგრძობს არაღიარების პოლიტიკას და მხარს უჭერს ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას“, – განაცხადა შტეფან ფულემ.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შტეფან ფულეს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„ევროკავშირის მტკიცე მარდაჭერა საქართველოს ევროპული გზისადმი გრძელდება. ჩვენ ვისაუბრეთ ასოცირების ხელშეკრულებასა და ვიზის ლიბერალიზაციის საკითხებზე და აღვნიშნეთ, რომ რამდენიმე თვეში საქართველო ევროკავშირთან ურთიერთობებში შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად მზად იქნება. საუბარი ასევე შეეხო უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და რეგიონის წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინებით საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზაციის აუცილებლობაზე ვისაუბრეთ“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

ინფორმაცია, რომელიც „ალიას“ 4 მარტს მიაწოდეს, საქართველოდან გაქცეულ დავით კეზერაშვილს ეხება და ნამდვილად სკანდალურია. როგორც ინკოგნიტო წყარო იტყობინება, როცა ქართულმა მხარემ კეზერაშვილის ექსტრადიცია მოითხოვა, საქმეში ეგრევე ჩაერთო ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი. ამ ადამიანს მანამდეც ჰქონია კეზერაშვილთან საქმიანი და პირადი ურთიერთობები. კულუარული საქართველოს მთავარ პროკურატურასაც უნდა ჰქონდეს და ალბათ, სერიოზული გამოძიებაც უნდა დაიწყოს.

2 მარტს აჭარის ყოფილი მეთაურის, ასლან აბაშიძის ვაჟი მოსკოვიდან დაბრუნდა. მისი თქმით, ბათუმი და თბილისი მოენატრა, ამიტომ სპონტანურად გადაწყვიტა ჩამოსვლა. კულუარული ვერსიის თანახმად კი, ის დღევანდელი ხელისუფლების წევრებთან მოლაპარაკებებს მართავს ასლან აბაშიძის ჩამოსვლასთან დაკავშირებით – ვინაიდან ბატონი ასლანი ძებნილია, ვინაიდან ასაკოვანია,




ინარჩუნებენ, ეს არის „ოცნების“ სისუსტე და არა მათი სიძლიერე. სანამ ღარიბაშვილი ობამას შეხვდებოდა, „ნაციონალების“ ლობისტები ყველას უმტკიცებდნენ, რომ ეს არის პრორუსული ძალა და პოლიტიკურ ოპონენტებს დევნიან და ციხეში ყრიან. ნაწილობრივ ამათ საწადელს მიაღწიეს, გაიხსენე ჯონ ქერის განცხადება: ქართველებმა წარსული უნდა დაივიწყონ და ახალი ცხოვრება დაიწყონო. ეს არის ღია მოწოდება, რომ ყველას უნდა ეპატიოს დანაშაული. ამის საპასუხოდ „ნაციონალებმა“ დაიწყეს ძალიან დიდი აქტიურობა ბათუმში და ქობულეთში, ამ დღეებში იყვნენ ჩამოსულები... სხვათა შორის, ქობულეთი ერთადერთი რაიონია, რომელსაც ჯერ კიდევ მართავენ „ნაციონალები“.

# მთავარი ფულია და არა სამართალი!!!

## რა გააკეთეს ეკა ზღულაძის ქმარმა და ისრაელის ელჩმა კეზერაშვილის გასანთავისუფლებლად

ინფორმაციის თანახმად, ფაქტობრივად, მან დაიხსნა საფრანგეთის ციხიდან ექჭვმიტანილი კეზერაშვილი. თავის მხრივ საფრანგეთსა და ისრაელში აქტიურად მუშაობდა მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მოაადგილე ეკა ზღულაძის მეუღლე, რაფაელ გლუკსმანი, რომელმაც იზრუნა იმაზე, რომ გამოქვეყნებულიყო სტატიები საფრანგეთში და დაექირავებინა ლობისტური ჯგუფები კეზერაშვილის გამოსაშვებად. საბოლოოდ „ნაცყულაბიდან“ მის გასათავისუფლებლად 50 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ასეა, მაშინ, როცა ჩვენ, ქართველები, ვსხედვართ და გულუბრყვილოდ ვმსჯელობთ იმაზე, როგორ დაუსხლტა ხელიდან კეზერაშვილი ფრანგულ მართლმსაჯულებას და ასევე ვამტკიცებთ, რომ ფრანგები ციდან ჩამოფრენილი ანგელოზები არიან, ფულს დასანახად ვერ იტანენ, ევროპაში ისეთ საქმეებს ატრიალებენ, ნუ იტყვით. ინფორმაცია, რომელიც მოგაწოდეთ, წესით, ემზარ კვიციანივით „კაპეზეში“ გამომწყვდევას ვერ გადაიტანს. სხვათა შორის, მსგავსი მცდელობა გიორგი აბაშიძეს ჯერ კიდევ 2013 წლის აგვისტოში ჰქონდა, მაგრამ მაშინ მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ასლან აბაშიძე ინტერპოლის მიერ, წითელი ცირკულარით იძებნება და ჩამოსვლის შემთხვევაში აუცილებლად დააპატიმრებდნენ. შეგახსენებთ: აბაშიძის წინააღმდეგ მთავარმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე 2005 წლის დეკემბერში აღძრა. მას ტერორიზმსა და კორუფციაში დასდეს ბრალი. 2006 წლის მარტში მას კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს – ამჯერად მისი ყოფილი მოადგილის, ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობის (1991 წ.) მუხლით. 2007 წლის 22 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ასლან აბაშიძეს დაუსწრებლად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 60 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა.

ტერორიზმს რამდენად დაუმტკიცებენ ასლან აბაშიძეს, ეს ცოტა საეჭვოა, მაგრამ კორუფციისა და ნოდარ იმნაძის საქმეები მძიმედ გამოიყურება, მით უმეტეს, როცა იმნაძის ქალიშვილი ძალიან აქტიურობს. როგორც ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, თამაზ ბაკურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, დღეს აბაშიძის გამოჩენა ბევრს არ აწყობს და ასეთები ხელისუფლებაშიც არიან. ძალიან ბევრს ჰქონდა მასთან ურთიერთობა და რაღაც-რაღაცების გახსენებისა ეშინიათ. გარდა ამისა, ასლანის გამოჩენა აჭარაში გამოიწვევს პოლიტიკურ რყევებს, რადგან მას დღევანდელ ფონზე საკმაოდ ბევრი მომხრე ჰყავს. ალბათ, გახსოვთ, შარშან „ყალბი“ ასლან აბაშიძე რომ გამოჩნდა ბათუმში, როგორი აჟიოტაჟი მოჰყვა მის განცხადებებს. არადა, კაცი იმუქრებოდა, აჭარიდან ვიწყებ თურქებთან ბრძოლას, აქედან უნდა გავყაროო. გავიდა რამდენიმე თვე და ეს ჩვენი „სახელოვანი“ ასლანი ვადაგასული „მაროჟნივით“ დადნა, ახლა სად არის, კაციშვილმა არ იცის.

რა დარჩათ აბაშიძეებს ბათუმში? მხოლოდ ერთი ბინა მეოთხე სართულზე და მაგული გოგიტიძის საფლავი. თამაზ ბაკურიძის თქმით, შეიძლება გიორგი აბაშიძე მართლაც ცდილობს მამამისის ჩამოსაყვანად ნიადაგი მოამზადოს, მაგრამ ეს საკითხი მის დონეზე ვერ გადაწყდება. ბაკურიძე „ალიასთან“ ასევე საუბრობს იმაზეც, როგორ ცდილობდნენ „ნაციონალები“, ჩაეშალათ ირაკლი ღარიბაშვილისა და ბარაკ ობამას ცნობილი შეხვედრა:

„მე ვესაუბრე ერთ-ერთ მოსკოველ მეგობარს და როგორც მან მითხრა, „ნაციონალები“ შეხვედრის ჩასაშლელად ყველა ღონეს ხმარობდნენ, მათ წინასწარ იცოდნენ და ამერიკაში არაერთი ლობისტური კომპანია ააწრიალეს. თუმცა საკმაოდ ოსტატურად მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“ ამ შეხვედრის ორგანიზება. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, თვით ღარიბაშვილის გარემოცვაშიც კი არ იცოდნენ ამის შესახებ. ამ შეხვედრამ „ნაციონალებში“ დიდი დაბნეულობა გამოიწვია და ერთადერთი, რითაც ისინი ერთობას

რას აკეთებს ამ დროს აჭარის უმაღლესი საბჭო და მისი „ნაჩალნიკი“ ავთო ბერიძე? როგორც თამაზ ბაკურიძე ამბობს, ის ხშირად „ფეისბუკით“ ერთობა, ჩვენს სტატიებს კითხულობს და ხანდახან კომენტარებსაც წერს, რომ ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეა. ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ ერთი პერიოდი, გადაწყვეტილი იყო აჭარის მთავრობის მეთაურის გაშვება თანამდებობიდან და ბერიძის ზედ მიყოლებაც, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს უთქვამს, ცოტა ხანს მოიცადეთ, წინასაარჩევნოდ ამის გაკეთებას არ გირჩევთო. ერთი პერიოდი ირაკლი ღარიბაშვილი წინააღმდეგი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც მოახერხეს მისი დაყოლიება. ბაკურიძის თქმით, ყველაზე დიდი პრობლემა უსაქმურ უმაღლეს საბჭოშია, სადაც მილიონობით ლარი იხარჯება არაფერში და ალბათ, ეს მომავალ არჩევნებში შედეგითაც აისახება.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მარკეტიდან ვადაგასული კვერცხი ამოიღეს



სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე შპს „ფურშეტ ჯორჯიადან“ მოლდავური წარმოების 256 ცალი ვადაგასული კვერცხი ამოიღეს. კვერცხი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება.

ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონულმა სამსახურებმა მონიტორინგის შედეგად დარღვევები გამოავლინეს. მარნეულში, გარდაბანსა და წალკაში ხუთი მეწარმე ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, რის გამოც, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, ი/მ „მანზახირ გუსეინოვი“, ი/მ „ალადინ მირზაევი“, ი/მ „მარშუდ პირიევი“, ი/მ „ლაერტი ტოროსიანი“, ი/მ „ანდრანიკ თამარიანი“ დაჯარიმდნენ 300 ლარით. ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის 400 ლარით დაჯარიმდა 3 ბიზნესოპერატორი – ი/მ „გულნარა განჯაევა“, ი/მ „სრაჟდენ მუსაევი“, ი/მ „ფარამაზ მამედოვი“.

ვადაგასული სურსათი – თევზი, ძეხვეული, საკონდიტრო ნაწარმი, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვი ამოიღეს ი/მ „გულნარა განჯაევას“, ი/მ „სრაჟდენ მუსაევის“, შპს „დათუნას“, ი/მ „ვაგრამ ტოროსიანის“ სასურსათო მაღაზიებიდან.

ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის გამო ლაგოდეხში დაჯარიმდა ი/მ „ვლადიმერ შეირანოვი“. სიღნაღის რაიონის დაბა წნორსა და ლაგოდეხში ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის დაჯარიმდნენ ი/მ „ვეფხია ვეფხვაძე“ – ი/მ „მარინე ალადაშვილი“, ი/მ „თამილა ალადაშვილი“.

სურსათის ეროვნული სააგენტო აგრძელებს მონიტორინგს მთელი ქვეყნის მასშტაბით. (ინტერპრესნიუსი)

## უკრაინელ ხალხთან ომს არ ვაპირებთო...

ვლადიმერ პუტინმა 4 მარტს ყირიმის მოვლენებთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა:

„ჩვენ არ ვაპირებთ და არ ვიომებთ უკრაინელ ხალხთან. თუ ჩვენ მივიღებთ ასეთ გადაწყვეტილებას, მხოლოდ უკრაინის მოქალაქეების დასაცავად და აბა, გაბედოს რომელიმე სამხედრომ, ესროლოს თავის ხალხს, რომლის უკანაც ჩვენ ვიდგებით. აბა, გაბედონ, ესროლონ ქალებსა და ბავშვებს. მე ვნახავ, ასეთ ბრძანებას ვინ გასცემს“, – განაცხადა პუტინმა.

პუტინი რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებსაც შეეხო: „ვფიქრობ, რომ თანამედროვე სამყაროში, როცა ყველაფერი ურთიერკავშირშია და ყველა ერთმანეთზეა დამოკიდებული, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ერთმანეთისთვის ზიანის მიყენება, მაგრამ ეს ორმხრივი ზიანი იქნება და ამაზეც უნდა ვიფიქროთ“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, რუსეთის ქმედებები სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

„ჩვენი ქმედებები სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ლეგიტიმურია. მე თავად ყოველთვის გამოვდიოდი საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვისთვის. მინდა ხაზი გავუსვა, რომ მაშინაც კი, თუ ჩვენ მივიღებთ შეიარაღებული ძალების გამოყენების გადაწყვეტილებას, ეს ლეგიტიმური იქნება, რადგან ჩვენ ლეგიტიმური პრეზიდენტის მიმართვა გვაქვს და იმ ვალდებულებების შესაბამისი და ემთხვევა იმ ხალხის ინტერესებს, რომლებიც მჭიდროდ არიან ჩვენთან დაკავშირებული კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით. ჩვენს ინტერესებში შედის ამ ხალხის დაცვა. ეს ჰუმანიტარული მისიაა. ჩვენ არ ვაპირებთ ვინმესთვის რაიმეს კარნახს, მაგრამ ვერ დავდგებით გვერდით, თუ დავინახავთ, რომ მათ დევნიან და ანადგურებენ. ძალიან მინდა, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს“, – განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ ყირიმის მიერთების სცენარს არ განიხილავს.

„არ განვიხილავთ ყირიმის რუსეთთან მიერთების სცენარს. მე საერთოდ მიმაჩნია, რომ მხოლოდ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, თავისუფალი აზრის გამოხატვის პირობებში, შეუძლიათ თავიანთი მომავალი განსაზღვრონ. თუ ამის ნება მიეცათ კოსოვოელ ალბანელებს და სხვებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში – ერების თვითგამორკვევის უფლება, გაერო-ს დოკუმენტებით გამყარებული, არავის გაუუქმებია. მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გავაღვივებთ ასეთ განწყობებს და არ მოვახდენთ პროვოცირებას“, – განაცხადა პუტინმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ექსკლუზივი

# რატომ უჩივლეს ზაქარეიშვილს პროკურატურაში და რას მალავს ის თავის ბიოგრაფიაში?

## რა განუცხადა მინისტრმა „ალიას“

**რა დანაშაულებში სდებენ ბრალს სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს? სინამდვილეში რა იმალება მისი პროდასავლური კურსის მიღმა და რა კავშირი აქვს რუსეთის გმირად წოდებულ მოროზოვთან?**

**„ალიას“ სოხუმიდან დევნილი ექიმი ზურაბ ჩიქოვანი ესაუბრა:**



ზურაბ ჩიქოვანი

– მთავარ პროკურატურაში შევედი საჩივრით და მოვითხოვე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის. პაატა ზაქარეიშვილის მიმართ დაიწყოს გამოძიება აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტების დაფარვის, განსაკუთრებული სისასტიკით და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ ჩადენილი მასიური მკვლელობებისა და სხვა მძიმე დანაშაულის ფაქტების დაფარვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე. პასუხი დღემდე არ მომსვლია. როგორც ჩანს, სახელმწიფო მინისტრებზე საჩივარი მსგავსი უმძიმესი ბრალდებების ჩამონათვალით პროკურატურში ყოველდღე არ შეაქვთ, ამიტომაც დაბნეულია უწყება და პასუხის გაცემას დღემდე ვერ მოაბა თავი. რატომ მალავს ზაქარეიშვილი მოროზოვთან მეგობრობას? რესპუბლიკელების „ფეისბუკის“ გვერდზე არ იდო მისი ერთწლიან ბიოგრაფიის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ მას ელიტარული სკოლა აქვს დამთავრებული თვით მოროზოვთან. ყაზანის უნივერსიტეტში მოროზოვი იყო მისი მასწავლებელი, რომელიც მეცნიერულ კომუნიზმს ასწავლიდა.

**— მოროზოვი ვინ არის?**

– „რესპუბლიკური პარტიის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ზაქარეიშვილის ბიოგრაფიიდან ამოღებულია 1997 წელს მოსკოვის პოლიტიკური კვლევების სკოლაში სწავლების ერთწლიანი პერიოდი. 1997 წელს პოლიტიკური კვლევების სკოლას ზაქარეიშვილის ჩათვლით მხოლოდ 33 კურსდამთავრებული ჰყავდა, რომელთა შორის „ედინაია როსიას“ ერთ-ერთი მთავარ იდეოლოგად აღიარებული ოლეგ მოროზოვი იყო. დღეს მოროზოვი რუსეთის პრეზიდენტის შიდა პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი გახლავთ. მანამდე კი, 2012 წლის 25 მაისამდე მოროზოვს რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. მაქვს ეჭვი, რომ ზაქარეიშვილის მოსკოვის ერთწლიან ელიტარულ სკოლაში მოხვედრა დანარჩენ 32 რჩეულთან ერთად სწორედ ოლეგ მოროზოვის უშუალო რეკომენდაციამ განაპირობა, რადგან ზაქარეიშვილსა და მოროზოვს იმ მომენტამდე უკვე დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. ზაქარეიშვილმა 1984 წელს ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა. სწორედ ყაზანის უნივერსიტეტში, გაიცნო ზაქარეიშვილმა „ედინაია როსიას“ მომავალი იდეოლოგი, ყაზანის „კაგებეს“ ხელმძღვანელის ვაჟი, ოლეგ მოროზოვი, რომელიც იმ დროისათვის ზაქარეიშვილს ფილოსოფიის ფაკულტეტზე სამეცნიერო კომუნიზმს უკითხავდა.



საყურადღებოა, რომ ყაზანის უნივერსიტეტისა და მოსკოვის ელიტარული სკოლის კურსდამთავრებულები მოროზოვი და ზაქარეიშვილი ხდებიან რუსეთისა და საქართველოს შიდა პოლიტიკის ხელმძღვანელები. ამასთანავე, ნიშანდობლივია ზაქარეიშვილის მცდელობა, საგულდაგულოდ დამალოს ფართო საზოგადოებისგან რუსეთის მალალჩინოსანთან ახლო კავშირის კვალი. იმ ფონზე, როდესაც რეინტეგრაციის მინისტრი თავის საგარეო ხედვის ორიენტირს დასავლურით ფუთავს, მოროზოვთან დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობების დაფიქსირება მისი ეგრეთწოდებული დასავლური იმიჯისთვის საფრთხის შემცველია.

**— როგორც მითხარით, თქვენ რიჩარდ ნორლანდსაც მისწერეთ წერილი, რას გაუსვით ხაზი?**

– ვაპროტესტებ დასავლეთის პასიურობას, რის მთავარ მიზეზადაც დავასახელებდი დასავლეთის დაბნეულობას, რისი გამომწვევი ფაქტორიც ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული ორმაგი სტანდარტია. ერთი მხრივ, ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი ჯანსაღი საგარეო ხედვით, რომელსაც პოსტზე არჩევის სამი თვის თავზე ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ თბილი შეხვედრა მოუწყვეს და მეორე მხრივ, პუტინის იდეოლოგთა დამქაში ზაქარეიშვილი, რომელიც გეგმაზომიერად ახორციელებს ოკუპირებული რეგიონების სამართლებრივ აღიარებას. სახელმწიფო მინისტრი ტერიტორიული დაშლისკენ მიაქანებს ქვეყანას და ცდილობს, საზოგადოებას ცნება მხარეებს თავს მოახვიოს და შერიგების ეგიდით მოლაპარაკების მაგიდასთან ოსები და აფხაზები დასვას, რაც ავტომატურად რუსეთს თამაშგარე მდგომარეობაში მოაქცევს, ოკუპანტის სტატუსს მოუხსნის, ხოლო საქართველოს აფხაზებისა და ოსების წინაშე კაპიტულანტურ პოზიციაში ჩააყენებს, რაც ამ რეგიონების აღიარების უკუქცევადი პროცესი გახდება.

**— თვითონ ზაქარეიშვილმა იცის თქვენი ბრალდებების შესახებ?**

– მაგას გავუგზავნე ეს ყველაფერი. რასაც ჰქვია, მოსვენებას არ ვაძლევ, მაგრამ მოპასუხე არავინ არ არის. აფხაზეთის მთავრობის მეთაურს, ვახტანგ ყოლბაიას როცა ველაპარაკე, იცით, რა მითხრა? ზურაბ ბატონო, რაღა დაგიმალოთ და ზაქარეიშვილის პოზიციას მეც ვიზიარებო: დროა, უკვე ვცნოთ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობაო. არ მინდა დავიჯერო, რომ ამას ხელს უწყობს ვინმე და მინდა მჯეროდეს, რომ ჯერ ამათთვის ვერ მოიცალეს. ზაქარეიშვილისა და ყოლბაიას ერთგვაროვანი ლექსიკა, რომლის მიხედვითაც ქართველმა ერმა აფხაზეთში დატრიალებული გენოციდი უნდა დაივიწყოს, იმ მოტივით, რომ 20 წელიწადი გავიდა, მიმართულია არა შერიგებისკენ, არამედ საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიების გასხვისებისკენ. ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ამიტომ უწევდა ის ლობირებას ვახტანგ ყოლბაიას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, რათა, ბოლოს და ბოლოს, აფხაზეთის გასხვისების პროცესი გაყინული წერტილიდან დაიძრას. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი რგოლი კი აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების დემორალიზაციასა და დაშლას გულისხმობს, რისი პირველი მანიშნებელიც დაჩქარებულ რეჟიმში ვითომდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, განახლება, სამინისტროების შეერთება, სახელწოდებების შეცვლა იქნება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის სტრატეგიულ ხედვაში მკაფიოდ გამოიკვეთა ჩვენი ქვეყნის გამთლიანებისთვის დამანგრეველი იდეოლოგიური პროპაგანდის შტრიხები, რომლის ფლაგმანი ხელისუფლებაში მოკალათებული ნულოვანი რეიტინგის მქონე „რესპუბლიკური პარტია“ და განსაკუთრებით ამ პარტიის ყველაზე აქტიური წევრი მოქმედი რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილია. ზაქარეიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ შემუშავებული გეგმა ქართველების აფხაზებთან და ოსებთან შერიგების სახელწოდებით მსუბუქად წააგავს ნეგაციონიზმს, როგორც იდეოლოგიურ პროპაგანდას, რომელიც უარყოფს ებრაელი ერის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდისა და მასშტაბური ფიზიკური განადგურების მიზანმიმართული პოლიტიკის არსებობას. მსგავსი პროპაგანდა მთელ რიგ ქვეყნებში კანონით დასჯად ქმედებად ითვლება.

ბრალდებებთან დაკავშირებით „ალია“ ვახტანგ ყოლბაიას დაუკავშირდა: „დიახ, ვიცნობ ზურაბ ჩიქოვანს. ძალიან დიდ პატივს ვცემ მას, გიდასტურებთ მისდამი პატივისცემას, რადგან მან ბევრ დევნილს გაუწია დახმარება, მე მესმის მისი გულისტკივილიც, რომელიც განსაკუთრებულად აქვს აფხაზეთის მიმართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ ვიზიარებ მის ბრალდებას. არ ვიცი, რაში დასჭირდა ამგვარი ბრალდების გაჟღერება მას. არ მესმის, რატომ იტყუება, როცა მასთან მაქვს შესანიშნავი ურთიერთობა. დიდი მადლობა, რომ დამირეკეთ და გამაგებინეთ ეს ამბავი“. – განაცხადა მან.

**„ალია“ კომენტარისთვის სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს მთელი დღის მანძილზე ურეკავდა. ამის შემდეგ დავუკავშირდით მის პრესსამსახურს, ჩავაყენეთ საქმის კურსში იმ ბრალდებების შესახებ, რაზეც ზურაბ ჩიქოვანმა „ალიასთან“ ისაუბრა: გვსურდა დაეფიქსირებინა, იცნობს თუ არა მოროზოვს და რა ურთიერთობა აქვს მასთან; სწავლობდა თუ არა 1997 წელს მოსკოვში და თუ კი, რატომ არ უწერია ბიოგრაფიაში; როგორია მისი ახლანდელი პოზიცია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, ზაქარეიშვილი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: „არ მსმენია ამ ბრალდებების შესახებ, არც საქმის კურსში ვარ და სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. მიმაჩნია, რომ ცუდად არაფერს ვაკეთებ, მაგრამ თუ პროკურატურა ჩათვლის საჭიროდ, ასეთ სერიოზულ ბრალდებებზე აღძრას საქმე, სრული პასუხისმგებლობით ვითანამშრომლებ გამოძიებასთან“. — განაცხადა ზაქარეიშვილმა.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## საქართველოს ელჩი იაპონიის თავდაცვის მინისტრს შეხვდა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, იაპონიის თავდაცვის სამინისტროში გაიმართა იაპონიაში საქართველოს ელჩის ლევან ცინცაძის შეხვედრა იაპონიის თავდაცვის მინისტრ იცუნორი ონოდერასთან. განიხილეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას იაპონიაში მოსალოდნელი ვიზიტის საკითხი.

იაპონიის თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა იაპონიაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტის მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს დელეგაციის ვიზიტი იაპონიაში მეტად ნაყოფიერი იქნება.

შეხვედრაზე ლევან ცინცაძემ საქართველო-იაპონიის მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით იაპონურ მხარესთან აქტიური თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატა. ელჩმა, აგრეთვე, იმედი გამოთქვა, რომ ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველო-იაპონიის ორმხრივი ურთიერთობების და სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარებას. (ინტერპრესნიუსი)



# ექსკლუზივი

# რატომ მალავს „ქართული ოცნება“ წევრების რაოდენობას?

„ნაციონალებმა“ ახალი გეგმა აამუშავეს, რაც წმინდა წყლის პიარია – ქვეყნიდან გადახვეწილმა მოწანწალემ, მიხეილ სააკაშვილმა თბილისში მყოფ თავის „სასტავს“ დაავალა, ყოველდღიურად ილაპარაკონ იმაზე, რომ სადღაც 2 წელიწადში ისინი ხელისუფლებაში მობრუნდებიან. ასეთ განცხადებებს აქვს ძალიან დიდი დატვირთვა: პირველი – მოსახლეობა ეჩვევა აზრს, რომ ის 2012 წლის ოქტომბრამდე უკეთესად ცხოვრობდა და „ნაციონალებს“ ისეთი არაფერი დაუშავებიათ; მეორე – იგივე მოსახლეობა უნდა მიეჩვიოს აზრს, რომ სააკაშვილის ბანდა აუცილებლად დაბრუნდება ხელისუფლებაში. სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება ვერ აცნობიერებს, რომ ვიღაცის მოსვლა და წასვლა სწორედ მის აქტიურობაზეა დამოკიდებული. დაუკვირდით „ნაციონალების“ ბოლოდროინდელ განცხადებებს... მაგალითად, როგორც ნუგზარ წიკლაური ამბობს: „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უფრო გაძლიერდა, რაც იმის დასტურია, რომ ქართველი ხალხი ცვლილებებისთვის მზად არის. ბოლო ერთი წლის განმავლობაში პარტიას 15 ათასამდე ახალი წევრი შეემატა. მსგავსი რამ ხელისუფლებაში მყოფი ბევრ პარტიისთვის სახიფათო იქნებოდა, ამიტომ ჩვენ არ ვაპირებთ ვინმეს წინაშე თავი დავხაროთ, რადგან ორწლიანი პაუზის შემდეგ აუცილებლად დავბრუნდებით ხელისუფლებაში“.

ჩვენ ყოველთვის გავიძახით, რომ „ნაცბანდა“ ვერასოდეს მობრუნდება ხელისუფლებაში, მაგრამ ამავე დროს ვლაპარაკობთ „ქართული ოცნების“ ინერტულობაზე. ამ დღეებში „ალიას“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი დაუკავშირდა, რომელსაც ვინაობის გამხელა არ სურს, მაგრამ პარტიაში შექმნილ სიტუაციას ასე ხატავს:

„გელა, ესენი გონს არ მოდიან... ცოტაც და, მგონი, ავფეთქდები. ცუდი ამბები ხდება, ცუდი... ბევრი სისულელე კეთდება და, არ ვიცი, თუ „პირველს“ ვერ შევხვდი ამ დღეებში, მაშინ რაღაცა უნდა მოვიფიქრო და სიმართლე ამ გზით ვამცნო ყველას... ხალხს სხვა რამის იმედი აქვს და არაფერი არ კეთდება, უსამართლობას ბოლომდე არ გავუჩუმდები... დღითი დღე გროვდება სისულელეები, ისევ „ნაციონალები“ ეტენებიან „ოცნებაში“, არჩევნებს წავაგებთ და მერე გვიანი იქნება...“

ნებისმიერი მძინარე „ნაციონალი“ რომ წამოაყენო და ჰკითხო, შენს პარტიაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენი ადამიანი გაწევრიანდაო, დაუფიქრებლად გეტყვის, 15 ათასამდეო. ნებისმიერ კარგად გამოღვიძებულ „ოცნებისტს“ რომ ჰკითხო, 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ შენს პარტიაში რამდენი ადამიანი გაწევრიანდაო, უმწეოდ შემოგხედავს და გეტყვის: არ ვიცი, ბოლო დროს ძალიან ბევრი „ნაციონალი“ გადმოვიდა ჩვენთანო. რიგით წევრებს დავანებოთ თავი, მოდით, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს, **არმაზ ახვლედიანს** ვკითხოთ:

**— ბატონო არმაზ, იქნებ გაიხსენოთ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თქვენს პარტიაში რამდენი ადამიანი გაწევრიანდა?**

– არ ვიცი, მაგ საკითხზე უნდა მიმართოთ ჩვენი პარტიის იურიდიულ სამსახურს.

თქვენ გგონიათ, „ნაციონალურ მოძრაობაში“ მართლა 15 ათასი ადამიანი გაწევრიანდა? არა, ალბათ, ეს ციფრი გაბერილია, მაგრამ ხომ ითქვა? ხომ წაიკითხა საზოგადოებამ? რაღა დაგიმალოთ და მე პირადად წერილი გავაგზავნე „ქართული ოცნების“ ოფისში წევრთა რაოდენობის შესახებ, გამაგებინეთ, რამდენი გყავდათ 2012 წლამდე და შემდგომში რამდენით გაიზარდა-მეთქი, მაგრამ ჩემი ფეხები, პასუხი საერთოდ არ მიმიღია.




**საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, მანანა კობახიძე ზემოთ მოტანილ მოსაზრებებს არ ეთანხმება, მისი თქმით, ვინც ასეთ რაღაცებს ლაპარაკობს, სიტუაციაში ვერ ერკვევა:**

**— ქალბატონო მანანა, ამბობენ, რომ ადგილი აქვს ძალიან ცუდ მოვლენებს, ადგილი აქვს ღალატს და ასე შემდეგ.**

– არა, ნამდვილად ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებებს, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ. მაგალითად, ახლა იყო ვაკის ორგანიზაციის აქტივთან შეხვედრა, ზეგ საჩხერეში მივდივარ, მერე ჭიათურაში, იქაც შეხვედრები გვაქვს, ასევე ჩოხატაურში... ეს არის ის, რაც უცებ გამახსენდა. მოსახლეობას უნდა გავაცნოთ ჩვენი პროგრამა, ჩვენი ამოცანა და ასე შემდეგ. მარტში კონფერენციები დამთავრდება და მერე გაიწერება კონკრეტული სამოქმედო გეგმა, მე არა მგონია, რაიმე პრობლემა ჰქონდეს „ქართულ ოცნებას“. არჩევნების მოგება, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენ ხელისუფლებაში რაც შეიძლება დიდხანს ვიყოთ, ჩვენ უნდა ვაკეთოთ საქმე... როცა ადგილებზე ისევ ძველი საკრებულოებია და სამწუხაროდ, „ნაციონალები“ ხშირად ხელს გვიშლიან. რა ხდება თბილისის მერიაში, ხედავთ. ამ ფონზე რეფორმების გატარება ვერ ხერხდება. ამიტომ ამ არჩევნების მოგება არის არანაკლებ იმაზე მნიშვნელოვანი, როცა მოვიგეთ საპარლამენტო არჩევნები. გეთანხმებით, ადგილებზე უნდა მოხდეს კადრების სწორად შერჩევა და ერთგული ხალხის მოყვანა, რომელიც ჯიბეში ფულის ჩადებაზე ან ქრთამზე კი არ იქნება ორიენტირებული, არამედ პრობლემების გადაწყვეტაზე.

**— თქვენ ძალიან დიდი პრობლემა გაქვთ „გადაცმულ“ „ნაციონალებთან“ დაკავშირებით.**

– კი... მესმის... ვინც იბრძოლა და ქვეყნის ერთგულია, იმ ადამიანებმა უნდა იაქტიურონ, უნდა მოვიდნენ ადგილობრივ თვითმმართველობებში. შეიძლება შეცდომები გვაქვს, მაგრამ წესიერ და პატიოსან ხალხს უპირატესობას მივანიჭებთ.

**კარგია, თუკი წესიერ და პატიოსან ხალხს უპირატესობას მიანიჭებთ, მაგრამ ჯერ ის უნდა გაირკვეს, რამდენი წევრია ამ პარტიაში. ფაქტია, ინფორმაცია არ მომაწოდეს. შეიძლება იმიტომაც, რომ პარტიის წევრების რაოდენობამ კი არ მოიმატა, დაიკლო, რადგან ჯიპებსა და მაღალ ხელფასებზე დახარბებულ ხელისუფლებას დაპირებები აღარ ახსოვს და „ოცნებას“ ბევრი ტოვებს, განსაკუთრებით, რეგიონებში.**

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტი უკრაინასთან დაკავშირებით დადგენილებას მიიღებს



უკრაინასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთ დადგენილებას მიიღებს, რომლის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში 5 მარტს გაიმართება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის დავით ბერძენიშვილის მოთხოვნით, უკრაინასთან დაკავშირებით დადგენილების საკითხის განხილვა გაიმართება.

„ვფიქრობ, ამისთვის არ არის საჭირო საგანგებო სხდომის მოწვევა. უკეთესია გეგმიურ პლენარულ სხდომაზე განვიხილოთ უკრაინასთან დაკავშირებით დადგენილების საკითხი“, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობა კი უკრაინის საკითხთან დაკავშირებით საგანგებო სხდომის მოწვევის ინიციატივით გამოვიდა. უმცირესობის წარმომადგენლის, გია თევდორაძის განცხადებით, „ჯერჯერობით პრეზიდენტის პასუხი არ ვიცით საგანგებო სესიის მოწვევასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ასეთ რეჟიმში განვიხილოთ უკრაინის საკითხი. ჩვენ არ გვაქვს დასრულებული რეზოლუცია, ამიტომ საპარლამენტო უმრავლესობას ვთხოვთ რეზოლუციის პროექტზე ერთად ვიმუშაოთ და მივიღოთ გადაწყვეტილება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით“, – განაცხადა თევდორაძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ომბუდსმენი ჯანდაცვის მინისტრს რეკომენდაციით მიმართავს



სახალხო დამცველი ჯანდაცვის მინისტრს ჩვილ ბავშვთა სახლში არსებული ვითარების გამოსწორების რეკომენდაციით მიმართავს.

ომბუდსმენის განცხადებით, მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, სადაც 6 წლამდე ასაკის 55 ბავშვი ცხოვრობს. აქედან 54 ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა.

„გამოვლინდა სხვადასხვა სახის პრობლემა, კერძოდ, დაწესებულების პროფილი და არსებული მომსახურება არ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განსაკუთრებულ საჭიროებებს: ბავშვები არ არიან ჩართული სკოლამდელ განათლებაში; ბენეფიციარებისთვის არ ხორციელდება აბილიტაცია/რეაბილიტაციის სერვისი, დაწესებულებას არ ჰყავს ადეკვატური სამედიცინო პერსონალი პალიატიური მზრუნველობის განსახორციელებლად; დაწესებულებაში არ ხდება ტკივილის მართვის მენეჯმენტი ქრონიკული ტკივილის მქონე ბავშვებისთვის; მომსახურე პერსონალი სათანადოდ ვერ ფლობს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევებს; დაწესებულებას არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განვითარებისთვის საჭირო გართობის საშუალებები; ფიზიკური გარემო (შენობა, აივნები, ეზო) არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროების მიხედვით, რაც ხელს უშლის მათ დამოუკიდებელ მობილობას“, – აცხადებს სახალხო დამცველი.

„მოგმართავთ რეკომენდაციით, განახორციელოთ საქმიანობა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარების განსაკუთრებული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით და უზრუნველყოთ აღნიშნული ჯგუფი ალტერნატიული ზრუნვის ისეთი სერვისებით, როგორიცაა ადრეული ინტერვენცია და აბილიტაცია/რეაბილიტაცია, სკოლამდელი ინკლუზიური განათლება, გართობისა და დასვენების ღონისძიებები, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, საჭიროების შემთხვევაში პალიატიური ზრუნვის სერვისი. ამასთანავე, მოხდეს შენობის ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებით, მომსახურე პერსონალის გადამზადება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## იანუკოვიჩი ცოცხალი და ჯანმრთელიაო



რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ინფორმაციით, უკრაინის ექსპრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ცოცხალია.

„მას შემდეგ, რაც ის რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ერთხელ შევხვდი, ეს ორი დღის წინ იყო. ის ცოცხალი და ჯანმრთელი გახლდათ, თქვენც იგივეს გისურვებთ. ის, დიდი-დიდი, გაცივდეს იმათ გასვენებაში, ვინც ასეთ ცნობებს ავრცელებს“, – განაცხადა პუტინმა.

შეგახსენებთ, რომ ვიქტორ იანუკოვიჩის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა ევრომაიდნელმა გაავრცელა. (ინტერპრესნიუსი)

## ვისი საზღვაო ფლოტია უფრო ძლიერი?



უკრაინის მოვლენებს დიდი ხანია, ყველა დაძაბული ვადევნებთ თვალს, ეს ბოლო დღეები კი ჩნდება სხვადასხვა ინფორმაცია, რომ ამერიკამ ფლოტი დაძრა, რომ შავ ზღვაში კონტინენტსგაღმელთა ავიამზიდი შედის. ჰოდა, მსჯელობს დიდიც და პატარაც, ექსპერტ-პოლიტიკოსიცა და „ჩვეულებრივი მოკვდავიც" – რას იზამენ ამერიკელები, რას იზამენ რუსები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

სამწუხაროდ, ქართული ფლოტის შედარება მხოლოდ წყალწაღებულ ქვეყანასთან თუ შეიძლება და ისიც იმდენად უინტერესო იქნება, საუბარს აზრი არ აქვს. ამიტომ, მოდით, ორი დიდი და გიჟი ქვეყნის ფლოტებზე მოგიყვებით – რუსეთსა და ამერიკაზე.

ოფიციალური მონაცემებით, რუსული ფლოტი 196 საბრძოლო ხომალდისგან შედგება, ხოლო ამერიკული – 286 ხომალდისგან.



ცნობილია ისიც, რომ რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტში შემავალი ხომალდების ასაკი 25 წელს აღემატება. ამასთანავე, თავად რუსებიც აღიარებენ, რომ ხომალდების ექსპლოატაცია ტოტალური დაუფინანსებლობის პირობებში ხდებოდა და სიტუაცია არც დღესაა შეცვლილი. კერძოდ, თითქმის არ მომხდარა გემების სერიოზული მოდერნიზაცია, არ ტარდება გეგმიური შემოწმებები და რემონტები. საბრძოლო მზადყოფნის პარამეტრიც რუსების სასარგებლო არ ყოფილა. არ აქვს რუსეთს არც მცურავი ზურგი, როგორც კატეგორია და ასე შემდეგ.

რაც შეეხება ამერიკის ფლოტის არსებობის აზრსა და მიზანს, ეს არის ძალების პროექცია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. შესაბამისად, ორგანიზებული სტრუქტურა, ბაზირებისა და შეიარაღების სისტემა ამ დავალებას შესანიშნავად პასუხობს.

– რუსეთის ფლოტის არსებობა იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც ის დღეისთვის იმყოფება, გაუგებარია, – ამბობენ რუსი სამხედრო ექსპერტები.

*****



სტრატეგიული ბირთვული კომპონენტი: ამერიკის ფლოტში სტრატეგიულ კომპონენტად მიიჩნევა თითქმის ყველაფერი, რასაც წყალზე ცურვა შეუძლია. მაგალითად, წყალზედა და წყალქვეშა ხომალდები, ავიამზიდები, სამოქალაქო კონტეინერმზიდები, ტანკერები, რომლებსაც ასეულობით „ტომაჰავკის" გადატანა შეუძლიათ.

ოფიციალური მონაცემებით, ამერიკის ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები მუდმივ საბრძოლო პოზიციებზე იმყოფებიან. რაც მთავარია, თითოეული ხომალდი უმაღლეს დონეზეა შენიღბული, რაც საშუალებას იძლევა, დამრტყმელი ძალა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული.

რაც შეეხება რუსეთს, როგორც ამბობენ, მათთვის ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა, შეუნიღბავი და ადვილად გასანადგურებელი და რაც მთავარია, 10 წელია, ამ მხრივ რუსებს არავითარი წინსვლა არ ჰქონიათ. უფრო მეტიც, „გროზა აუგ" და „კურსკი" მათ საკუთარ ტერიტორიულ წყლებში ჩაეძირათ.

წყალზედა კომპონენტი: ამერიკის ავიამზიდები – წარმოდგენილია ყველა კატეგორიაში.



რუსეთი – პრობლემებია ყველა კატეგორიაში. ერთადერთი მძიმე ავიაგადამყვან კრეისერს, რომელზეც 4+ თაობის თვითმფრინავები ბაზირებს, სპეციალისტები დამრტყმელ ავიამზიდად ბევრი მიზეზის გამო ვერ განიხილავენ.

ამერიკის მართვადი სარაკეტო კრეისერები – წარმოდგენილია ყველა კლასში. მაგალითად, „ტიკონდეროგის" ტიპის კრეისერიდან, რომელიც უნივერსალური გამშვები მოწყობილობებითაა დახუნძლული, შესაძლებელია საშუალოდ 127 „ტომაჰავკის" გასროლა. გარდა ამისა, კრეისერი ისვრის „ჰარპუნის" ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებს, ჰაერსაწინააღმდეგო „სტანდარტს" და რაკეტსაწინააღმდეგო „იჯისს". მისი ანალოგი რუსეთს არ გააჩნია.

საზღვაო ავიაცია – ამერიკა 3800-ზე მეტი სხვადასხვა კლასის თვითმფრინავითაა წარმოდგენილი, რუსეთი რამდენიმე ასეულით, ისიც ძირითადად, მოძველებული მოდელებით.

ბაზირება – ამერიკის სამხედრო საზღვაო ფლოტის ბაზირების სისტემის შესახებ ათეულობით და ასეულობით დისერტაციის დაწერა შეიძლება, რაც შეეხება რუსეთს, იქ საერთოდ არ არსებულა ბაზირების სისტემა ოკეანეებში. ერთადერთი ბაზა სირიაშია, ისიც გაუგებარი დანიშნულების.

მოკლედ, საერთო სურათი სახეზეა და თავად რუსი სპეციალისტებიც ლანძღავენ „მშობლიურ ფლოტს", თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რუსი ვანია უკან მაინც არაფერზე დაიხევს...

*topwar.ru*

## შვედ ახალგაზრდას, სახელად „თქვენო უდიდებულესობავ" დარქმევაზე, უარი ეთქვა



ჩვენთანაც ხომ შემოიღეს ადრე რაღაც დარდუბალა – პასპორტში გვარ-სახელების შემოკლება რომ შეიძლებოდა თუ რაღაც მსგავსი? გარდა ამისა, იმის უფლებაც გვაქვს, პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში ის სახელები და გვარები ჩავიწეროთ, ჩვენ რომ მოგვწონს და ვგიჟდებით.

ჰოდა, ასე ყოფილა შვედეთშიც და ასეთ უაზრო ნებართვას ის შედეგი მოჰყვა, რომ გამოხტა ვინმე ჰანს ერიკი, რომელსაც მობეზრდა თავისი სახელი და უფრო ორიგინალური და ლამაზი რამ მოიფიქრა.

შვედეთში ეს ძალიან ადვილია: საკმარისია საგადასახადოში მისვლა, უწყებაში, რომელსაც რატომღაც, ეს ფუნქციაც აქვს შეთავსებული და განცხადების საფუძველზე სურვილს თითქმის უპრობლემოდ ასრულებენ.

„თითქმის უპრობლემოდო" იმიტომ ვამბობთ, რომ ჰანს ერიკს აღნიშნულმა უწყებამ უარი სტკიცა, რადგან მას სახელად „თქვენო უდიდებულესობავ" სურდა დარქმეოდა.

მომხდარის გამო უცნაური შვედი სასამართლოში წასვლასაც კი აპირებს და რით დასრულდება დავა, რთული სათქმელია. ფაქტი ერთია – რაც უფრო მეტი სისულელის გაკეთების უფლებას იღებს ადამიანი, ცხოვრება მით უფრო ემსგავსება ერთ დიდ აბსურდის თეატრს.

*rokf.ru*

## ბრუნეის პრინცმა სექსგასართობებზე 15... მილიარდი დოლარი დახარჯა



კაცი პრინცი იყო, ქვეყანაში პოპულარული, „ხურდაში" მინისტრიც, სექსში მილიარდობით დოლარის დახარჯვა შეიძლება, ეს ოხერი?! მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი სულელური გატაცებები აქვთ ცნობილ ადამიანებს და შეეკითხეთ, რაც გინდათ, პასუხს მაინც ვერ გაგცემენ.

როგორც ირკვევა, ბრუნეის პრინცს ჯეფრი ბოლკიახს, რომელიც დიდი ხანია, ადგილობრივ ფლეიბოიდ ითვლება, 15 მილიარდი აშშ დოლარის მიტაცებაში ადანაშაულებენ. მაქინაციებით უზარმაზარი თანხა პრინცს მაშინ გაუქრია, როცა ქვეყნის ფინანსთა მინისტრის პოსტს იკავებდა.

რაც მთავარია, ადგილობრივი მედიის საშუალებებმა დაადგინეს, რომ პრინცს სახელმწიფოსთვის მოპარული 15 მილიარდი დოლარით ეროტიკული სათამაშოების უიშვიათესი და უძვირფასესი კოლექცია შეუგროვებია. არსებობს უცნაური სექსსათამაშოების ჩამონათვალიც: 1,3 მილიონი დოლარი მან ბუმბულიან კალამში გადაიხადა, რომელზეც



ეროტიკული ნახატებია დატანილი. 10 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი 8 ცალ ოქროს და ბრილიანტის საათში, რომლებზეც წყვილის სექსია ასახული. პრინცის პირადი ფლოტიც კი ეროტიკითაა გაჯერებული. კერძოდ, 5 იახტიდან ყველაზე საყვარელს „ძუძუ" რქმევია. შედარებით პატარა იახტების სახელწოდებებია „ძუძუსთავი 1", „ძუძუსთავი 2" და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, ბრუნეის პრინცს 800 ათასი აშშ დოლარი გადაუხდია სკულპტორისთვის, რომელმაც იგი თავის ერთ-ერთ საყვარელთან ერთად გამოაქანდაკა. 35 მილიონ დოლარად ლონდონში „ფლეიბოის" კლუბიც უყიდია ვაჟბატონს და ასე შემდეგ.

ეს 15 მილიარდი სექსსათამაშოებში კი გადაიხადა, თუმცა არანაკლებ ძვირფასია ბრუნეის პრინცის პირადი ავტოპარკი, რომელშიც 2300 უძვირფასესი ავტომობილი დგას, ძირითადად, „ბენტლის", „ფერარისა" და „როლს-როისის" მოდელები...

*mignews.com*

### მაინც, როგორი წყალია სასარგებლო?



თეთრი ხალათი საავადმყოფოში მოხვედრილი ახლობლის ნახვისას მაინც თუ აქვს ჩაცმული ზოგ ადამიანს, თავი პროფესორი ჰგონია და იმდენნაირ რჩევას მოგცემს, თავგზა აგებნევა. არანაკლებ იციან ხოლმე ადამიანების დაბნევა პროფესორებმაც და ჩვეულებრივმა ექიმებმაც. ჰოდა, ველარ გაიგებს კაცი – მაინც, როგორი წყალია სასარგებლო და რა უნდა ქნას – ონკანის წყლით მოიკლას წყურვილი თუ გადადუღებულით?

მოდით, გავერკვეთ ამ, ცოტა არ იყოს, ჩახლართულ ამბავში:

მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფმა გამოაქვეყნა დასკვნა, რომელიც აბათილებს მოსაზრებას, თითქოს, გადადუღებული წყალი საშიშ ბაქტერიებს ანადგურებს და მისი დალევა ყოვლად უსაფრთხოა. სამწუხაროდ, ეს ასე სულაც არ ყოფილა. კვლევებმა აჩვენა, რომ არაერთი ბაქტერია თერმო გადამუშავების შემდეგაც არ კვდება. გარდა ამისა, გადადუღება ვერ ერევა საშიშ ორგანულ ნივთიერებებსა და მძიმე ლითონების მარილებს.

პანაცეა არ არის წყალი არც ბუნებრივი წყაროებიდან. უმრავლეს შემთხვევაში, წყაროს წყალი ჯანმრთელობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და შესაბამისად, მისი ყოველდღიური გამოყენება არცთუ გონივრული გადაწყვეტილებაა.

აბა, რაღა უნდა ვქნათ, რომელ წყალში გადავვარდეთ? უფრო სწორედ – როგორი წყალი ვსვათ?

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ წყლის წმენდის საუკეთესო საშუალება ოსმოსის ნაწილობრივ გამტარი ფილტრებია, რომლებშიც ატარებს სითხის მოლეკულებს და არ ატარებს მასში გახსნილი ნივთიერების მოლეკულებს.

*myjane.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



1. ფილმი ამ მსახიობების მონაწილეობით
2. განმუხტვა ღრუბლებში
3. ... უინფრი
4. სოფტ პადუ ...
5. კვერცხის თეთრი შიგთავსი
6. თავზე წასაკრავი თავსაფარი
7. გარდაცვლილის სურვილი
8. რუსი მხატვარი არხიპ ...
9. მსახიობი ... პაჩინო
10. რომაელი ორატორი
11. დედამიწის გუმბათი
12. დაუსმის ზედსართავ სახელს
13. ინერტული აირი
14. დიდი სანთელი
15. თვითნასწავლი მხატვრობა
16. ლურჯი ნივთიერ. იყენებენ რეცხვისას
17. ერთ ფეხზე დგომა ბალეტში
18. ავქსენტი ცაგარელის პიესა
19. ზღვა საბერძნეთთან
20. მსახიობი ლესლი ...
21. კანის სილურჯე
22. ფედერიკო ფელინის ფილმი
23. ... სჯობია ღონესა
24. პოეტი ... მიცკევიჩი
25. ესპანელი კომუნისტი დოლორეს ...
26. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
27. ხის ტოტების ფანჩატური
28. კომპოზიტორი ... კვერნაძე
29. იოჰან სებასტიან ...
30. ბაქტერია, ანუ ...
31. ტაბლეტი
32. რეჟისორი ფილმში „...“
33. შხამიანი მწერი
34. უახლოესი ვარსკვლავი
35. ინდური კაბა
36. ნიანგის სახეობა
37. ... მეფობენ და არა მეფეები
38. მსახიობი ... მაკგრეგორი
39. რუსული სამხედრო თოჯინების თეატრის დამაარსებელი
40. თევზი, ანუ ...
41. ქვიშისა და ცემენტის ნარევი
42. კოშკი
43. იუდაიზმის ღვთაება
44. მტაცებელი თევზი ოკეანეში
45. ქალაქი იტალიაში
46. [illegible]
47. ... დუმბაძე
48. კავშირებითი სიტყვა
49. „კარმენის“ კომპოზიტორი
50. დე ფაქტო და დე ...
51. დიდი კასრი
52. ქალაქი იტალიაში
53. ორკესტრის ხელმძღვანელი
54. დიდი ჩაქუჩი
55. ინდიელის ქოხი
56. ძვ. ფრანგ. სიმღერის ჟანრი
57. რას აწებებენ კონვერტზე
58. კომენტატორი ... მამაშვილი
59. ინგლისის ძველი სახელწოდება
60. სწრაფი ტემპი მუსიკაში
61. მსახიობი ბრედ ...
62. კამეჩის ნაშიერი
63. მსახიობი ... შიგულა
64. ჟურნალისტი ვახო ...
65. ქალაქი იაპონიაში
66. მეჩეთის კოშკი
67. ფეხბურთის „მეფე“
68. დასაძინებელი წამალი
69. სახელმწიფო აზიაში
70. სამატომიანი ჟანგბადი
71. აფრიკელი ჯუჯა
72. მუსლიმანები: ... და სუნიტები
73. გი ... მოპასანი
74. ჭადრაკის ფიგურა
75. ვისაც ნათქვამის მიტანა უყვარს
76. ბიბლიური მოსეს ძმა
77. არგენტინული ცეკვა
78. მსახიობი ... დევისი
79. „ვერის უბნის მელოდიების“ პერსონაჟი
80. ხორთუმიანი ცხოველი
81. სასულე კლავიშ. ინსტრუმენტი
82. მსახიობი ... ჰეივორტი
83. იპოლიტე ხვიჩიას ფილმი
84. კანონების კრებული
85. რეპტილია
86. ნაღვაწი შრომა
87. ქართ. ფულის ერთეული
88. [illegible]
89. მაღალი ხარისხის მინა
90. პროვინცია კანადაში
91. შეზღუდული კვების რეჟიმი
92. ხორბლის დაფქვის ნარჩენი
93. ისტორიის მუზა
94. სასვენი ნიშანი
95. ქსოვილი
96. ჟაკ-... კუსტო
97. სოფელი თბილისთან
98. შიში
99. გამოუწვავი აგური
100. ღომში ჩაზელილი სულგუნი
101. ძველი, დახეული ფეხსაცმელი
102. ოდნავ სველი
103. რძის პროდუქტი
104. ბორბლიანი ელ. გზრანს. ზედაპირებზე
105. მსახიობი ... მინელი
106. კომპოზიტორი ...
107. სიო
108. ალ. მაკედონელის მშობლ. მხარე
109. შვედური ავტომობილი
110. იაპონური ხალათი
111. ქალაქი ავსტრალიაში
112. მსახიობი ... ბერიმორი
113. ცხვრის ქონი
114. ბოსტნეული
115. ცხენის ჩლიქი
116. იარაღი ლულითა და კონდახით
117. რეჟისორი ... ალენი
118. ვივიენ ...
119. ჭამის სურვილი
120. მსახიობი ... დელონი
121. მტაცებელი ფრინველი
122. მგალობელი ფრინველი
123. პატარა ზომის არხი
124. მსახიობი ... ჰეპბერნი
125. მუხის ნაყოფი
126. კუნძული ინდონეზიაში
127. ევას მეუღლე
128. პარიკმახერი, ანუ ...
129. ძვირფასი წითელი ქვა
130. ფრანგ. წვრილი ფული
131. ქსეროასლი
132. ბულგარული არაყი
133. კაციჭამია
134. სასულე ინსტრუმენტი
135. სითხის ძვ.ქართ. საზომი
136. მდიდრული აგარაკი
137. „12 სკამის“ ... ბენდერი
138. უძველესი კოლხეთი
139. საბჭოთა თვითმფრინავის მარკა
140. რეჟისორი ... დოლიძე
141. გიგანტური წიწვოვანი ხე
142. მსახიობი ნიკ ...
143. საფეხურებიანი ასასვლელი
144. „მატრიცის“ გმირი
145. „ჰამლეტის“ პერსონაჟი
146. ... ფეხა
147. მომღერალი ... ჩარლზი
148. შტატი აშშ-ში
149. ... მორზე
150. ქედი ევროპაში







პასუხები: 1. „კარიბის ზღვის მეკობრეები“; 2. ელვა; 3. ოპრა; 4. კალე; 5. ცილა; 6. ხილაბანდი; 7. ანდერძი; 8. კუინჯი; 9. ალ; 10. ციცერონი; 11. ცა; 12. როგორი; 13. ნეონი; 14. კელაპტარი; 15. ნაივი; 16. ლილა; 17. არაბესკი; 18. „ხანუმა“; 19. ეგეოსი; 20. ნილსენი; 21. ციანოზი; 22. „რვანახევარი“; 23. ხერხი; 24. ადამ; 25. იბარური; 26. მარტინა; 27. ტალავერი; 28. ბიძინა; 29. ბახი; 30. მიკრობი; 31. აბი; 32. მნემონიკი; 33. კრაზანა; 34. მზე; 35. სარი; 36. გავიალი; 37. დრონი; 38. ევან; 39. ობრაზცოვი; 40. მკერავი; 41. ბეტონი; 42. ბია; 43. იაჰვე; 44. ზვიგენი; 45. გენუა; 46. ეკალი; 47. ნოდარ; 48. რომ; 49. ბიზე; 50. იურე; 51. რუმბი; 52. პარმა; 53. დირიჟორი; 54. ურო; 55. ვიგვამი; 56. ლიე; 57. მარკა; 58. ჟანეტა; 59. ალბიონი; 60. პრესტო; 61. პიტი; 62. ზაქი; 63. ჰანა; 64. სანაია; 65. კიოტო; 66. მინარეთი; 67. პელე; 68. ბანგი; 69. ინდოეთი; 70. ოზონი; 71. პიგმეი; 72. შიიტი; 73. დე; 74. პაიკი; 75. ენატანია; 76. აარონი; 77. ტანგო; 78. ჯინა; 79. ვარდო; 80. სპილო; 81. ორგანი; 82. რიტა; 83. „ფეოლა“; 84. კოდექსი; 85. კუ; 86. ამაგი; 87. ლარი; 88. ფერო; 89. ბროლი; 90. კვებეკი; 91. დიეტა; 92. ქატო; 93. კლიო; 94. ტირე; 95. ბრეზენტი; 96. ივ; 97. ლილო; 98. ზაფრა; 99. ალიზი; 100. ელარჯი; 101. ჯღანი; 102. ნოტიო; 103. დო; 104. ტროლი; 105. ლაიზა; 106. ვერდი; 107. ნიავი; 108. მაკედონია; 109. „ვოლვო“; 110. კიმონო; 111. მელბურნი; 112. დრიუ; 113. დუმა; 114. ბოლოკი; 115. ფლოქვი; 116. თოფი; 117. ვუდი; 118. ლი; 119. მადა; 120. ალენ; 121. ორბი; 122. იადონი; 123. რუ; 124. ოდრი; 125. რკო; 126. იავა; 127. ადამი; 128. დალაქი; 129. ლალი; 130. სუ; 131. ასლი; 132. რაკია; 133. კანიბალი; 134. ჰობოი; 135. ჩაფი; 136. ვილა; 137. ოსტაპ; 138. აია; 139. „ილ“; 140. სიკო; 141. სეკვოია; 142. ნოლტი; 143. კიბე; 144. ნეო; 145. ოფელია; 146. ორ; 147. რეი; 148. მიჩიგანი; 149. მორსი; 150. ალპები. იკითხება: დეპი. ნაიტლი. ბლუმი.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ციტრუსი
2. კეთილშობილი ქალბატონი
3. მსახიობი ... რუსო
4. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
5. სავანის ბინადარი ცხოველი
6. ქართული სატირული ჟურნალი
7. მსახიობი ... ელიავა
8. ძვ. ბერძნული თიხის ჭურჭელი
9. ინერტული აირი
10. მიმდინარეობა მხატვრობაში
11. ინტუიცია
12. ზღაპარი „... მუსიკოსები“
13. მსახიობი ბენი ...
14. გეომეტრიული ფიგურა
15. მსახიობი ჟან ...
16. მიუზიკლი „კუზიანი ...“
17. ცხენებშებმული ტრამვაი
18. ჭადრაკის ფიგურა
19. მითიური ცხენკაცი
20. მწერალი თეოდორ ...
21. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
22. გადასახდელ ზედიანი ეტლი
23. შვედური ხურდა ფული
24. ნორვეგიის სანაპიროს ყურე
25. ხილის დესერტი
26. რგოლოვანი ორგანიზმი
27. მექსიკური ქუდი
28. შექსპირი. „მეფე ...“
29. მომღერალი ჯასტინ ...
30. მსახიობი ადრიანო ...
31. რუსული ხის თოჯინები
32. ჩილეში: ავგუსტო ...
33. ლუდის მასალა
34. თევზის ჯიში
35. მსახ. ... ამირანაშვილი
36. იაზონის გემი
37. ბოსტნეული
38. აჩრდილი
39. მოზაიკის კერამიკის ნატეხი
40. მსახიობი ... ჰოპკინსი
41. ამ ნახ. კუნძულზეა იტალია
42. მსახიობი ... რურკი
43. ფურცელი წელიწადის დღეებით
44. ხილი
45. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
46. მხატვარი ... გრეკო
47. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი
48. მწერალი ... გამსახურდია
49. თევზსაჭერი გემი
50. მომღერალი ბობ ...
51. იაპონური თეატრი
52. კაზინო
53. მსახიობი ... პაჩინო
54. კურორტი ბულგარეთში
55. „ნატვრის ხე“ პერსონაჟი
56. მობილურების ფინური ფირმა
57. გეომეტრიული ფიგურა
58. კუნძული ინდონეზიაში
59. ... ფალიაშვილი
60. მსახიობი ... გარბო
61. ცისარტყელას ფერი
62. მომღერალი დაიანა ...
63. მსახიობი ... გოლდბერგი
64. საგალობელი ...-მარია
65. ერთგვარი მუხის ქერქი
66. მწერალი ტომას ... რიდი
67. კონტინენტი
68. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
69. ტუჩის საცხი
70. მცენარე. ილებენ შაქარს
71. მომღერალი ... კალასი
72. სასროლეთი
73. გაზაფხულის თვე
74. ბრტყელი მრგვალი პური
75. ქურდის ... ცხონდაო
76. წვრილი სისხლძარღვი
77. საველე საავადმყოფო
78. თავდამსხმელი (ფეხბ.)
79. ძაღლის ჯიში
80. მსახიობი ... ელექტრა
81. ავეჯი
82. დიდი ჩაქუჩი
83. „20000 ... წყალქვეშ“
84. შხამიანი ობობა
85. შხამიანი გველი
86. დიდი ვენახი
87. ცეკვა, ახუ ...
88. ყვავილი
89. სარწმუნოება ზოგადად
90. ელექტროშემკეთებელი
91. ფილოსოფოსი ემანუილ ...
92. სასიმინდე
93. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
94. დედამიწის წყლოვანი სარტყელი
95. რა ააგო ნოემ
96. მსახიობი მელ ...
97. პურის სოკო
98. ვირას საპირისპირო ბრძანება
99. „შეხვედრა მინოტავრ-თან“ ავტორი ძმები ...
100. დროებითი ნაგებობა ცირკისთვის
101. გოგოლის მოთხრობა
102. ამერიკული თოჯინა
103. ბოსტნეული
104. კავშირებითი სიტყვა
105. მომღერალი ... ჯონი
106. სოფელი დუშეთის რაიონში
107. რუსული ესტრადის მომღერალი
108. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი
109. დეკორატიული მცენარე
110. ყვავილი
111. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
112. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
113. ხის ქერქქვეშა ნაწილი
114. მსახიობი ... რივზი
115. სამშენებლო იარაღი
116. მხ/ფ „მაგდანას ...“
117. ექსპრეზიდენტი რიჩარდ ...
118. საბავშვო ინფექციური დაავადებ.
119. ... პუგაჩოვა
120. სანელებელი
121. ძაფის დასართავი წირი
122. უნივერსიტეტერი ...-მატერი
123. ძვირფასი ქვა
124. ნიშნავს ნორვეგიის მონარქის მემკვიდრეს
125. ... ძედუნი
126. დები ...
127. უბედურების მაუწყებ. სიგნალი
128. მისალმება მუხლის მოდრეკით
129. მსახიობი ჯესიკა ...
130. მწვანილების შეკვრა
131. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
132. მწერალი არტურ კონან ...
133. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფ.
134. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
135. მდინარე საფრანგეთში
136. სისხლის შემადგენელი ნაწილი
137. ახალი ზელანდიის მკვიდრი
138. ნაკლი, ზადი

პასუხები: 1. მანდარინი; 2. მანდილოსანი; 3. რენე; 4. ნეორეალიზმი; 5. მარტორქა; 6. ნიანგი; 7. ლია; 8. ამფორა; 9. ნეონი; 10. იმპრესიონიზმი; 11. ალღო; 12. ბრემენელი; 13. ჰილი; 14. რომბი; 15. მარე; 16. ნოტრდამიდან; 17. კონკა; 18. პაიკი; 19. კენტავრი; 20. დრაიზერი; 21. ნიკარაგუა; 22. ფაეტონი; 23. ერე; 24. ფიორდი; 25. კომპოტი; 26. მატლი; 27. სომბრერო; 28. ლირი; 29. ტიმბერლეიკი; 30. ჩელენტანო; 31. მატრიოშკა; 32. პინოჩეტი; 33. ალაო; 34. სვია; 35. ამირან; 36. „არგო“; 37. ნიორი; 38. ავი; 39. სმალტა; 40. ენტონი; 41. აპენინი; 42. მიკი; 43. კალენდარი; 44. ბროწეული; 45. კვიპროსი; 46. ელ; 47. ბიზე; 48. კონსტანტინე; 49. სეინერი; 50. მარლი; 51. კაბუკი; 52. სამორინე; 53. ალ; 54. ვარნა; 55. ელიოზი; 56. „ნოკია“; 57. წრე; 58. იავა; 59. ზაქარია; 60. გრეტა; 61. იისფერი; 62. როსი; 63. ვუპი; 64. ავე; 65. კორპი; 66. მაინ; 67. ევროპა; 68. კოპოლა; 69. პომადა; 70. ლერწამი; 71. მარია; 72. ტირი; 73. მარტი; 74. ლავაში; 75. ქურდი; 76. კაპილარი; 77. ლაზარეთი; 78. ფორვარდი; 79. მასტიფი; 80. კარმენ; 81. ტახტი; 82. ურო; 83. ლიე; 84. ტარანტული; 85. ასპიტი; 86. ზვარი; 87. როკვა; 88. იასამანი; 89. რელიგია; 90. მონტიორი; 91. კანტი; 92. ნალია; 93. ვერდი; 94. ეკვატორი; 95. კიდობანი; 96. გიბსონი; 97. ობი; 98. მაინ; 99. ვაინერები; 100. ბალაგანი; 101. „ვიი“; 102. ბარბი; 103. კიტრი; 104. რომ; 105. ელტონ; 106. ბარისახო; 107. ალსუ; 108. რუსთაველი; 109. ბეგონია; 110. ია; 111. იკაროსი; 112. „ოსკარი“; 113. მერქანი; 114. კიანუ; 115. თარაზო; 116. ლურჯა; 117. ნიქსონი; 118. ბატონები; 119. ალა; 120. მარილი; 121. თითისტარი; 122. ალმა; 123. ონიქსი; 124. კრონ; 125. მაო; 126. მური; 127. სოს; 128. რევერანსი; 129. ალბა; 130. კონა; 131. სიასამური; 132. დოილი; 133. ფრი; 134. სან; 135. რონა; 136. პლაზმა; 137. მაორი; 136. ხინჯი. იკითხება: დასტინ ჰოფმანი.

# ყველაზე უცნაური ტურისტული კანონები



კანონების არცოდნა, მოგეხსენებათ, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას სულაც არ ნიშნავს. ჰოდა, გამოდის, რომ მოგზაურმა აუცილებლად უნდა დაიცვას სხვადასხვა სახელმწიფოში მოქმედი კანონი, რაც არ უნდა უცნაურად და სულელურად მოეჩვენოს ის.

რომ არ დაიბნეთ, პრობლემები რომ არ შეგექმნათ და გულიანად დაისვენოთ, როცა ამის დრო გექნებათ, მოდით, ჩვენთან ერთად, თქვენც გაეცანით რამდენიმე ყველაზე უცნაურ კანონს და გპირდებით, სასიამოვნო განწყობაზე დადგებით.

– საცურაო კოსტიუმით სეირნობას – არა! გრენადა – როგორც ჩანს, ნახევრად შიშველი ლამაზმანები ადგილობრივების ფაქიზ ნერვებზე ძალიან უარყოფით გავლენას ახდენენ. აბა, მაშ, რატომღა მიიღებდნენ იქაურები ასეთ უცნაურ კანონს?! თურმე, საცურაო კოსტიუმით სანაპიროზე წამოწოლა და მზის აბაზანების მიღება დაშვებულია, მაგრამ საკმარისია, ტურისტი პლაჟის ზოლს გასცდეს, რომ სამართალდამცველები მას მაშინვე 270 აშშ დოლარით დააჯარიმებენ.

– მოძრაობა მხოლოდ ჩართული მაშუქებით. დანია, ჩეხეთი – სულაც არ აქვს მნიშვნელობა, მზე ანათებს, წვიმა მოდის თუ თოვლი ბარდნის, გადაადგილებისას, მძღოლს ავტომობილის მაშუქები დღის განმავლობაშიც მუდმივად ჩართული უნდა ჰქონდეს. ამ ორი ქვეყნის სტატისტიკოსების მტკიცებით, მძღოლები ერთმანეთის მანევრირებას გაცილებით უკეთ ხვდებიან, როცა მაშუქები ანათებს. ამასთანავე, მცირდება ავარიების რაოდენობაც. კანონის დამრღვევებს 70 ევროთი აჯარიმებენ.

– ავტობანზე გაჩერება ან ფეხით სიარული. გერმანია – ავტომობილის გაჩერება ავტობანზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ავზი გამოცარიელდა, კატეგორიულად აკრძალულია გერმანიაში და მძღოლი 100 ევროთი ჯარიმდება. გარდა ამისა, დამატებითი ჯარიმაა განსაზღვრული იმ მძღოლისთვისაც, რომელიც ავტომობილიდან გადმოვა და ბენზინგასამართი სადგურისკენ ფეხით გაემართება. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი მოქმედება გერმანელებს ზოგჯერ, უფრო ძვირად – სიცოცხლის ფასადაც კი უჯდებათ ხოლმე, რადგან იქაურ ავტობანებზე ხომ სიჩქარის შეზღუდვა არ არსებობს.




– არ გამოკვებოთ მტრედები! იტალია – შესაძლებელია ვენეციით ტკბობა, გონდოლებით სეირნობა, მუზეუმების დათვალიერება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მტრედების გამოკვება! ერთი შეხედვით, ეს უწყინარი ფრინველები იტალიისთვის ნამდვილ სტიქიურ უბედურებად იქცნენ, რადგან მათი სკლინტებისგან დაბინძურებული ქუჩების გაწმენდას იქაური ხელისუფლება ყოველწლიურად მილიონობით ევროს ახარჯავს. ვისაც მტრედები ეცოდება და არ სურს, რომ ისინი შიმშილისგან გაწყდნენ, უმჯობესია, ჯიბეში 50-60 ევროც ედოს, რათა ჯარიმა გადაიხადოს. ფრინველების გამოკვებაში რამდენჯერმე შემჩნეულ ადამიანს კი 600 ევროთი დაჯარიმება ელის.



– კანონგარეშეა... ხურდა ფული! კანადა – „ფული – ყოველთვის ფულია“, – ფიქრობთ თქვენ? ჰოდა, კანადაში თუ მოხვდებით, ამ აზრს აუცილებლად შეიცვლით, რადგან იქ გარკვეული საფასურის ხურდა ფულით ჯერ კიდევ 1985 წელს აკრძალულა. თურმე, მყიდველსა და გამყიდველს, კანადაში, შეუძლია, მხოლოდ ძალიან მცირე ოდენობის ხურდა გამოიყენოს. რატომ შემოიღეს ასეთი აკრძალვა იქაურმა კანონმდებლებმა, სამწუხაროდ, არ კონკრეტდება.

– სუფთა ავტომობილების საზოგადოება. რუსეთი – როცა რუსეთის დედაქალაქს მიუახლოვდებით, თუკი სკინჰედებს გადაურჩით, იქაურ „გაიშნიკებს“ მაინც გადააწყდებით სადმე, რომლებსაც საკმაოდ სოლიდური ჯარიმის გამოწერა გასვრილი სანომრე ნიშნის გამოც შეუძლიათ, მაგრამ, თუკი ისე მოხდა, რომ „სუფთა ავტომობილების თვის“ აქციას შეესწარით, ჯარიმას თუნდაც, მტვრიანი ბამპერის გამო მოგარტყამენ.

– რამადანისას თქვენც უნდა იშიმშილოთ. არაბეთის გაერთიანებული საამიროები – თურმე, რამადანის (მუსლიმანური კალენდრის ერთ-ერთი თვე) დროს, საამიროებში ქუჩაში ჭამა სასტიკად აკრძალულია და თუკი მაინც გაბედავთ და ამ აკრძალვას ყურადღებას არ მიაქცევთ, 3-კვირიანი პატიმრობა არ აგცდებათ. მაშ, როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ამ ქვეყანაში მაინცდამაინც რამადანის დროს მოხვდებით? შიმშილის მოკვლას მხოლოდ რესტორნებში შეძლებთ, თუმცა, კერძებზე ორმაგი და სამმაგი ფასის გადახდა მოგიწევთ – „არაფერი პირადული, მხოლოდ ბიზნესი“. ფულს აკეთებენ არაბები, რა...



– კოცნა აკრძალულია რკინიგზის სადგურებზე! საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი – მსოფლიოს ყველაზე რომანტიკულ ქვეყანაში სასტიკად იკრძალება კოცნა რკინიგზის სადგურებზე. თურმე, ასეთი აკრძალვა საფრანგეთში ჯერ კიდევ 1910 წელს დაუწესებიათ, მოგვიანებით კი ის ბრიტანელებსაც მოსწონებიათ და ფრანგების პრაქტიკა თავიანთ ქვეყანაშიც გადაუტანიათ. საინტერესოა, რომ სადგურებზე კოცნაობა მატარებლების შეფერხების გამო აუკრძალავთ – როგორც ჩანს, მემანქანეები იბნეოდნენ და საქმეს ველარ აკეთებდნენ. ასეა თუ ისე, რკინიგზის სადგურის სიახლოვეს „მტლაშა-მტლუშისთვის“ საფრანგეთსა და ინგლისში ჯარიმები დღემდე იწერება.

– სიშიშვლე საჭესთან. ტაილანდი – როგორი მომხიბვლელიც არ უნდა იყოს გაუსაძლის ტროპიკულ სიცხეში პერანგის ან მაისურის გახდის პერსპექტივა, ამის გაკეთება არ ღირს, რადგან საგზაო პოლიცია მაშინვე 100 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმას გამოწერს. 100 დოლარი კი ის თანხაა, რის გამოც ღირს, მცირე დროით ოფლის ღვრა.

– საღეჭი რეზინით... ციხეში! სინგაპური – თუკი ისე მოხდა, რომ სინგაპურისკენ აიღეთ გეზი, არამც და არამც არ ჩაიდოთ საღეჭი რეზინი არათუ პირში, არამედ ჯიბეშიც კი, რადგან ხელი მაინც წაგიცდებათ და ვაი და ვუი გვიანი იქნება, რადგან კევის ღეჭვასა და ბუშტების გაბერვას შესაძლოა, რამდენიმედღიანი, ან უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე საათიანი პატიმრობაც კი მოჰყვეს. გარდა ამისა, სინგაპურში სასტიკადაა აკრძალული ქუჩაში ფურთხება და ფრინველების გამოკვება. ცხადია, ყველა ამ აკრძალვას მხოლოდ ესთეტიკა აქვს საფუძვლად, რადგან აბა, ვის სიამოვნებს, ფურთხით, საღეჭი რეზინებითა და ჩიტების სკლინტით სავსე ქუჩებში სიარული და კარგი იქნებოდა, მსგავსი კანონები ჩვენთანაც მოქმედებდეს: იქნებ, ბევრმა სისუფთავე ისწავლოს და ურნასთან მიტანილი ნაგავი ძირს კი არ მიაგდოს, კეთილი ინებოს და ბარემ, იქ მიუჩინოს ადგილი, სადაც საჭიროა.

**factroom.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ბარბის თოჯინების ფანატი ჰიპნოთერაპიას იმისთვის მიმართავს, რომ „უფრო უტვინო“ გახდეს

არც ისე კარგ ტონად მიგვაჩნია ქალზე აუგის თქმა, მაგრამ ბლონდი ბენეტი თვითონვე ითხოვს, რომ რაღაც გამოგვტყუოს!..

კარგით, შევეცადოთ, მაქსიმალურად კორექტულები ვიყოთ და ამ უცნაური კალიფორნიელის ამბავი ისე გავიგოთ:

ბლონდი 38 წლისაა და შეიძლება ითქვას, ბარბის თოჯინებზეა დამოკიდებული.



როგორც თავად ამბობს, მოზარდობისას ხშირად იცვამდა ბარბის თოჯინების მსგავსად, სურდა საყვარელ სათამაშოს მაქსიმალურად დამსგავსებოდა, ახლა კი უფრო საინტერესო იდეა გაუჩნდა – ის ჰიპნოთერაპიის კურსებზე დადის იმისთვის, რათა ისეთივე უტვინო გახდეს, როგორიც თოჯინაა.



– მინდა, ნამდვილი ბარბი საბოლოოდ გავხდე. მართლა მინდა, რომ უტვინო ვიყო, რადგან სულაც არ მომწონს ადამიანობა. ნორმალური ცხოვრებაც კი შევწირე, რომ გარეგნულად გავმხდარიყავი ისეთი, როგორიც ბარბია. მართალია, სულ მესმის, ბუნებრიობა უკეთესიაო, მაგრამ მე პირადად ბუნებრიობა მოსაწყენი მგონია, – ამბობს ბლონდი ბენეტი, რომელსაც დაგვეთანხმებით, ტვინის ნაკლებობის ნიშნები აშკარად ეტყობა.

ცნობილია, რომ მას უკვე დახარჯული აქვს 40 ათასი აშშ დოლარი, რათა გარეგნობით საყვარელ თოჯინას მაქსიმალურად დამსგავსებოდა, უტვინობას რაც შეეხება, ამ შედეგსაც ბლონდი სულ მალე მიაღწევს, ჩვენ გვჯერა მისი!..

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03 **mainfun.ru**



– ძვირფასო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ! გისურვებთ უმტკიცეს ჯანმრთელობას! იმედი გვაქვს, ასეთი მტკიცე ჯანმრთელობა საშუალებას მოგცემთ, იცოცხლოთ, არა მხოლოდ გამოძიებამდე და სასამართლომდე, არამედ პატიმრობის ვადის ამოწურვამდე!!!

*****

– დაბადების დღეს გილოცავ!

– დიდი მადლობა, მაგრამ რომელი ხარ?

– რა მნიშვნელობა აქვს, შენ ის მითხარი, სად ვქეიფობთ და რომელ საათზე?

*****

ქმარი ცოლს:

– საყვარელო, სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ – დაქალს ტელეფონით მხოლოდ 20 წუთი ელაპარაკე...

– ნომერი შემეშალა და...

*****

ჩანაწერი ავტომოპასუხეზე:

– დიდი ალბათობით, სახლში ვარ, მაგრამ არ მსურს ველაპარაკო ერთ ჩემთვის ძალიან უსიამოვნო ადამიანს. დატოვეთ შეტყობინება და თუ არ გადმოგირეკეთ, ესე იგი ეს უსიამოვნო ადამიანი თქვენ ყოფილხართ.

*****

– გოგონამ, რომელიც წლების მანძილზე ოცნებობდა მალდივებზე, „ლამბორჯინიზე“, ბრილიანტებსა და დოლარებზე, შემთხვევით საკუთარ მკერდს ფეხი წამოჰკრა...

*****

– ნერვიული არ არის ადამიანი, რომელიც ხელქვეითს უყვირის – ის უბრალოდ, უჟმურია! ნერვიულია ის ადამიანი, რომელიც უფროსს უყვირის!

*****



ნასვამმა მამაკაცმა ქუჩაში კატა იპოვა და მისი სახლში წაყვანა გადაწყვიტა. სახლში მისულს კარი ცოლმა გაუღო და პირდაპირ მიახალა:

– ეს მაიმუნი, ალბათ, ჯუნგლებიდან მოათრიე, არა?!

– რა მაიმუნი, ქალო, ვერ ხედავ, კატა მიჭირავს ხელში, კატა!

– ხმა ჩაიკმინდე, შე სასიკვდილე, მე კატას ველაპარაკები, კატას!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## „ნასა“ უცხოპლანეტელების მიერ დედამიწის განადგურებას არ გამორიცხავს



აჰა, პუტინის მერე ახლა უცხოპლანეტელების „ბლატაობალა“ გვაკლდა და ესეც მივიღეთ! ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მოსაზრების ავტორები „ნასას“ მეცნიერები არიან და არა ვინმე მოყვარული უფოლოგები.

ამერიკის კოსმოსური სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის სახელწოდებაა „რამდენად სასარგებლო ან საშიში იქნება კონტაქტი არამიწიერ ცივილიზაციებთან? განსხვავებული სცენარები“.

ამ დასკვნაში ამერიკელი მეცნიერები აანალიზებენ, როგორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს უცხოპლანეტელთან დედამიწელების შეხვედრას.

დავიწყოთ ცუდი ინფორმაციით: „ნასაში“ ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ჰუმანოიდებმა კაცობრიობა გაანადგურონ, რისი მიზანიც სხვა ცივილიზაციების გადარჩენა იქნება. ასეთი სცენარი სავსებით რეალურია, თუკი ადამიანები გონს არ მოეგებიან და გარემოს სათბურის გაზებით დაბინძურებაზე უარს არ იტყვიან.

რაც შეეხება კარგ ინფორმაციას, მეცნიერები არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, უცხოპლანეტელები ადამიანებს თავიანთ ტექნოლოგიურ მიღწევებში ჩაახედებენ და „გალაქტიკის კლუბის“ წევრობასაც მიანიჭებენ, თუმცა ამას ხომ დამსახურება უნდა. ადამიანები კი, თავიანთი დამღუპველი საქმიანობითა და მისწრაფებებით, კარგს არაფერს იმსახურებენ.

– ნებისმიერმა სცენარმა კაცობრიობა უნდა გამოაფხიზლოს და მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ეკოსისტემაზე უარყოფითი გავლენის მასშტაბები შემცირდეს, – ამბობენ „ნასას“ სპეციალისტები. მათივე თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი უცხოპლანეტელებთან შეხვედრა საერთოდ არ გვიწერია, სათბურის აირების შემცირებაზე მაინც აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ, რადგან თუკი ეს ასე არ მოხდა, დაღუპვა სხვისი „დახმარების“ გარეშეც არ აგვცდება

## ყველაზე სასარგებლო ძილი — სად უნდა ეძებოთ?



ორი დაქალი ჭორაობს, როგორი სექსით იხიბლებიან:

– მე როდეო მიყვარს – როცა ზემოდან ხარ და პარტნიორს ატყუებ, შიდსი მაქვსო, – პირველი ამბობს.

– მე კი უფრო მეტი სირთულე მხიბლავს: სექსი ჰამაკზე, თანაც, ფეხზე მდგომელაო...

რამდენად მოსახერხებელია სექსი ჰამაკზე, ვერ გეტყვით, მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ სწორედ ჰამაკი დაასახელეს შვეიცარიელმა მეცნიერებმა ადგილად, სადაც ადამიანს ყველაზე მშვიდი ძილის გამოცხობა შეუძლია.

თურმე, ჰამაკი მისწრება ყოფილა მათთვის, ვინც უძილობისგან იტანჯება ან უმცირესი ხმაურიც კი აღვიძებს.

საქმე ისაა, რომ ჰამაკის ქანაობა ძალიან დადებითად მოქმედებს ძილის ხარისხზე, რაც ექსპერიმენტითაც დამტკიცდა.

კერძოდ, მოხალისეები სხვადასხვა პირობებში იძინებდნენ, ხმაურში, სიმშვიდეში, საწოლში, სავარძელში და ჰამაკში.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ საუკეთესო ადგილი ჰამაკია – ძილიც მშვიდია და ჩაძინებაც უფრო სწრაფად ხდება.

მიზეზი უფრო ფსიქოლოგიური ჰგონიათ კვლევის ავტორების: ჰამაკში ადამიანი ქვეცნობიერად ბავშვობას იხსენებს, როცა მათ დედიკო ნელ-ნელა არწევდაო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***garant.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**5 მარტი:** დღეს სხვადასხვა სახის ფიზიკური დატვირთვები თქვენთვის სასარგებლო იქნება. მოიფიქრეთ რამე ისეთი, რაც სიამოვნებასაც მოგანიჭებთ.

**კურო 22.04-21.05**

**5 მარტი:** ძალიან სწრაფად აზროვნება მოგიწევთ. შეეცადეთ, ზედმეტი აზრები თავიდან მოიშოროთ, რათა ფიქრში ხელი არ შეგეშალოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**5 მარტი:** შეიძლება დღეს ცვალებად განწყობაზე იყოთ. ამიტომ ეს დღე იმასთან ერთად გაატარეთ, ვინც დიდი ხანია მიგეჩვიათ და თქვენი გაგება შეუძლია.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**5 მარტი:** თუ საკუთარი ვალდებულებების შესრულება არ შეგიძლიათ, რა უფლება გაქვთ, იგივე სხვისგან მოითხოვოთ? პასუხი აგეთ საკუთარ სიტყვებზე და ყველაფერი გამარტივდება, მათ შორის, თქვენთვისაც.

**ლომი 23.07-22.08**

**5 მარტი:** ძალიან დაძაბული დღე გელით. დიდი ამოცანების გადაჭრა არ მოგიწევთ, თუმცა წვრილმანები მრავლად იქნება.

**ქალწული 23.08-22.09**

**5 მარტი:** უცნაური იდეები მოგივათ თავში. შეიძლება რომელიმე მათგანის განხორციელება ღირს კიდეც, რაც გენიალური ადამიანის რეპუტაციას მოგიტანთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**5 მარტი:** შეიძლება საკმაოდ ხშირად მოგაცდინონ. ამის მიუხედავად დღევანდელ გეგმებზე უარის თქმა არ ღირს. ყველაფერი უნდა მოასწროთ, რაც მიზნად დაისახეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**5 მარტი:** რაც უფრო მარტივად აღიქვამთ მოვლენებს, მით მეტი იქნება ალბათობა, რომ საქმეებს წარმატებით დაასრულებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**5 მარტი:** შეეცადეთ, რამე ცოტათი მაინც შეცვალოთ და მერე გვერდიდან დააკვირდით, იქნებ მოგეწონოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**5 მარტი:** დიდი ალბათობით, ეს დღე სიყვარულისთვის არის შექმნილი. შეეცადეთ, დრო აზრიანად გამოიყენოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**5 მარტი:** შეიძლება ვიღაცის მიმართ ინტერესის გამოსავლენად არცთუ საუკეთესო მეთოდი შეარჩიეთ და ეს ვიღაცა ვერ მიხვდება, რა უნდათ მისგან.

**თევზები 19.02-20.03**

**5 მარტი:** როგორც ჩანს, დღეს მოწყენილი იქნებით. საეჭვოა, მასთან გამკლავება შეძლოთ. ამის მიუხედავად, შეეცადეთ, მხიარული კამპანია მოძებნოთ, იქნებ გადაგიაროთ.

## კბილის ძაფი... უნაყოფობის წინააღმდეგ



საიდან სადაო და იქიდანო, რომ როგორც შვედი მეცნიერები ამტკიცებენ, კბილის ძაფის რეგულარულ გამოყენებას დაფეხმძიმების ალბათობის გაზრდა შეუძლიაო. სხვათა შორის, მათ მოსაზრებას ემხრობიან ავსტრალიელი სპეციალისტებიც.

მოსაზრების ავტორები ხაზს უსვამენ, რომ პირის ღრუს მოუვლელობა ძალიან ხშირად ხდება უნაყოფობის მიზეზი. ამდენად, თუკი ადამიანს ბავშვის ყოლის სურვილი აქვს, ურჩევნია, კბილების მოვლას დიდი ყურადღება დაუთმოს.

არსებული მონაცემების თანახმად, გარკვეული ჰორმონალური პრობლემების მქონე ქალს დაახლოებით 5-თვიანი მკურნალობა სჭირდება იმისთვის, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოს და დაფეხმძიმდეს. ხოლო თუკი ქალს ღრძილების პრობლემებიც აწუხებს, მკურნალობის პროცესი საშუალოდ 2 თვით მაინც ხანგრძლივდება.

მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ უსიამოვნების მიზეზი ანთებითი პროცესია, რომელიც ღრძილების დაავადებებს უკავშირდება.

პირველ რიგში, საუბარია პერიოდონტიტზე, რომელიც როგორც ცნობილია, სხვა პრობლემების გამომწვევი მიზეზიც ხდება. მაგალითად, გულის დაავადებების, მამაკაცებში სპერმის ხარისხის დაქვეითების, მუცლის მოშლის და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***medkarta.com***

ვაკანსიები!!!

გაზეთი „ალია“
სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს.
ანაზღაურება 800 ლარი.
ასევე, გამოცდილ ჟურნალისტებს.
ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

„ალია“ და „ქრონიკა“
აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე.
ანაზღაურება 800 ლარი. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.

## იუმორი



ეგზოტიკურ კურორტზე ჩასული ტურისტები სასტუმროს ადმინისტრატორს ეკითხებიან:

– ძალიან გვაინტერესებს, ცურვის დროს მედუზები ან ზღვის ზღარბები ხომ არ დაგვაზარალებენ?

– როგორ გეკადრებათ?! რა უნდა ჩვენთან მედუზებსა და ზღარბებს – ყველა ასეთ საზიზღარ არსებას ზვიგენები ულებენ ბოლოს!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ››› 211359457 ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.57